პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУзии и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი | № 85 (10479) | სამშაბათი, 10 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

მკვეთრად გავაღიზღოთ მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება

გუშინ „პრავდაში" გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა ყველა კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობების მუშების, მტს-ების, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების, საცდელი სადგურების მუშაკების, აგრონომებისა და ზოოტექნიკოსებისადმი, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისა და სპეციალისტისადმი. „ეს დოკუმენტი უდიდესი მნიშვნელობა აქვს მარცვლეულის, ტექნიკური და სხვა კულტურების. აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს სახელმწიფოს ინტერესები მშრომელთა ინტერესები, მიმართავენ ხალხს მოწოდებით — მოახმაროს თავისი შრომითი ღონისძიებანი კომუნისტური მშენებლობის კონკრეტული ამოცანების გადაჭრას. ყველა საბჭოთა ადამიანს ახსოვს, რომ შარშან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს მიმართვები მრეწველობის მუშაკებისადმი, მშენებლებისადმი, სოფლის მეურნეობის მუშაკებისადმი. მუშებმა, კლუბებმა „ინტელიგენციამ პარტიისა და მთავრობის ამ მიმართვებს უპასუხეს შემოქმედებითი აქტივობის მძლავრი აღმავლობით და სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს სამეურნეო მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე.

ამჟამად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მიმართეს მოწოდებით წარმატებით განახორციელონ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარე წელს — მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს. პარტიასა და მთავრობას მიაჩნიათ, რომ ახლა დადგა გადამწყვეტი მომენტი, რათა უზრუნველყოფთ რეალური შესრულება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შესახებ.

შარშან კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა და ყველა მუშაკმა კარგად იშრომეს და, მიუხედავად სასტიკი გვალვისა ეაზახეთში, დასავლეთ ციმბირსა და მთელ რიგ სხვა ოლქებში, ჩვენს ქვეყანაში მიღებული და დამზადებულია გაცილებით მეტი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე წინა წელს.

ახალ სამეურნეო წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმრავლესობამ უკვე სერიოზულ წარმატებებს მიაღწია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომ გადიდებაში. რძის საერთო წველადობა ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში 1955-1956 წლებია ოქტომბერ-თებერვლის განმავლობაში გადადგა 1,3 მილიონი ტონით, ანუ 63 პროცენტით წინა სამეურნეო წლის იმავე პერიოდთან შედარებით. 1956 წლის 1 მარტისათვის კოლმეურნეობებს გასასუქებლად დაკენებული ჰყავდათ 8 მილიონზე მეტი ღორი. რაც სამჯერ უფრო მეტია ვიდრე შარშან ამ დროისათვის იყო. ყოველივე ეს ახარებს საბჭოთა ხალხს და უერგავს მტკიცე რწმენას, რომ წარმატებით იქნება განხორციელებული ამოცანები, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ დაუსახა სოფლის მეურნეობას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სოფლის მშრომელთა ყურადღებას მიაპყრობენ სოფლის მეურნეობის განვითარების უმნიშვნელოვანეს საკითხებს.

„რა უნდა გაკეთდეს ახლა უწინარეს ყოვლისა? — აღნიშნულია მიმართვაში. — როგორც XX ყრილობის გადაწყვეტილებებში იყო ნათქვამი. ძირითადია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. რომლის წარმატებით შესრულებაზე დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება. პარტიისა და მთავრობის დოკუმენტებში დაწვრილებით და საფუძვლიანად ჩამოყალიბებულია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრის გზები და ბერხები. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საჭიროდ მიაჩნიათ იმჟამად ერთხელ კიდევ მიაპყრონ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთავარი ყურადღება ცალკეულ საკითხებს რომლებზეც დამოკიდებული იქნება მარცვლეულის წარმოების გადიდება უკვე მიმდინარე წელს".

რა საკითხებია ეს საკითხები? საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა საგაზაფხულო თესვისათვის მომზადებას. იმას, რომ საგაზაფხულო კულტურები დავთესოთ უკეთეს ვადებში, კარგად დამუშავებულ და გაპატიჟებულ ნიადაგში გამოვიყენოთ საუკეთესო ბარისხის თესლი. უზრუნველყოთ თესვის მთლიანი ნორმა და თესლის კარგად ჩაფლვა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს თესვის დროზე მოწყობას ყამირ და ნასვენ მიწებზე. რომლებიც ხორბლისა და სხვა მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი წყაროა.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გადაუდებელ ამოცანებს შორის დიდი მნიშვნელობა აქვს სიმინდის წარმოების გადიდებას. შარშან სიმინდი პირველად დაითესა მასობრივად ცენტრალურ. ჩრდილო აღმოსავლეთ და ჩრდილო-დასავლეთ რაიონებში. ციმბირსა და ეაზახეთში. თუმცა სიმინდისათვის მეტად ჯრაბელსაკერელი პირობები შეიქმნა მოწინავე კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. ამავე დროს რაიონების ერთ ნაწილში. სადაც ხელმძღვანელობმა, კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნერობების მუშაკებმა ჯეროვნად არ შეისწავლეს ეს კულტურა და არ უზრუნველყვეს მისი ნათესების სათანადო მოვლა, მცირე მოსავალი მიიღეს ან ნათესები სულაც დაიღუპა. გასული წლის გაკვეთილებიდან საჭიროა გავაკეთოთ სერიოზული დასკვნები, კომუნისტების დამახასიათებელი ენერგიით მოვკიდოთ ხელი სიმინდის შესწავლასა და დანერგვას, დროზე მოვემზადოთ და კარგად დავთესოთ იგი, უზრუნველყოთ მცენარის სანიშნო მოვლა.

მიმართავენ რა სოფლის მეურნეობის მუშაკებს, პარტია და მთავრობა უსახავენ მათ ამოცანას — საქმის ცოდნით მოაწყონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში კარტოფილის, ბოსტნეულის, ბაღჩეული კულტურების და ხილის უხვი მოსავლის მიღება. უპირველესი მნიშვნელობა აქვს შაქრის ჭარხლის, ბამბის, ხელის, კანაფისა და სხვა ტექნიკური კულტურების წარმოების გადიდებას.

საბჭოთა სოფლის მშრომელნი დიდი აღმავლობით წყვეტენ მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ამოცანებს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ჩვენში შეიქმნა საკმაოდ ხელსაყრელი პირობები იმისათვის, რომ უკვე მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გავადიდოთ რძისა და ხორცის წარმოება და უზრუნველვყოთ ჩვენი ქვეყანა ამ პროდუქტებით. სულ უფრო ფართოდ ჩადგეს ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თაოსნობით დაწყებული შეჯიბრება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შესახებ პარტიისა და მთავრობის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის. ასრულებენ რა ნაკისრ ვალდებულებებს, ვორონეჟელმა კოლმეურნეებმა სამეურნეო წლის ხუთი თვის განმავლობაში რძის საერთო წველადობა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,2-ჯერ გაადიდეს.

მაღალი ვალდებულებები იკისრეს და წარმატებით ახორციელებენ მათ უკრაინის სსრ, კრასნოდარის მხარის, ტამბოვის, ბელგოროდის, რიაზანისა და სხვა ოლქების სოფლის მეურნეობის მუშაკები. შეიძლება ეჭვი არ ვიქმნოთ, რომ მოწინავეთა მაგალითს მიბაძავს ყველა სხვა რაიონი და ამას მოჰყვება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას მხურვალედ გამოეხმაურა სოფლის მეურნეობის მილიონობით ძმრმელი. კოლმეურნეები, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, მეცნიერი მუშაკები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განახორციელონ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ღონისძიებანი. ოდესის ოლქის არცეზის რაიონის კოლმეურნეობა „ჩერვონი პრაპორის" მერგოლური აბრ. კორნეიჩუკი წერს:

„ახალი ძალები შეგვმატა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელისადმი. მშობლიური პარტიისა და მთავრობის მოწოდების პასუხად ჩვენი რგოლის წევრები კისრულობენ ვალდებულებას მოიყვანონ წელს 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 75 ცენტნერი სიმინდი, ხოლო 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 135 ცენტნერი სიმინდის ტარო".

— კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ. — ამბობს ალტაის მხარის რუბცოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის" აგრონომი ამბ. ოდოკიენკო,—მაღალი შეფასება მისცეს ჩვენს შარშანდელ შრომას. მაგრამ მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ. ჩვენ წელს შეგვიძლია მივიღოთ და კიდევაც მივიღებთ უხვ მოსავალს მთელ ფართობზე.

დიდი ყურადღებით შეხვდნენ პარტიისა და მთავრობის მიმართვას როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნის მუშები. სიმინდის კომბაინების საამქროს ზეინკალმა ამბ. მაკკომ განაცხადა:

— კომბაინმშენებლები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს მისცეს სოფლის მეურნეობას რაც შეიძლება მეტი მაღალხარისხოვანი მანქანები.

გულის სიღრმიდან მომავალი ეს სიტყვები მოწმობენ, რომ მშრომელნი მხურვალედ იწონებენ პარტიისა და მთავრობის ღონისძიებებს სოფლის მეურნეობის დარგში. ეჭვი არ არის. რომ კოლმეურნეები. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები. ინჟინრები. ტექნიკოსები. აგრონომები, ზოოტექნიკოსები და სხვა სპეციალისტები, მაშინ ეჭვი არ არის. რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და ყვების პროდუქტებით ჩვენი მშრომელების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ამოცანა წარმატებით შესრულდება და მეექვსე ხუთწლედის პირველი გადამწყვეტი წელი კარგი დასაწყისი იქნება მეექვსე ხუთწლედის მთელი გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

„პრავდის" 9/IV მოწონავე.

ბროშურად გამოიცა მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ ბროშურად გამოსცა ქართველ კომუნისტურ და უუშათა პარტიების მისალმებანი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობისადმი.

ბროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკ. ინ.).

ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში გამგზავრებისათვის

საბჭოთა მოქალაქეები მიმართავენ გაზეთების რედაქციებსა და საკდესს და სთხოვენ ცნობებს დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიწვევით ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის ინგლისში მომავალი გამგზავრების შესახებ.

როგორც საკდესმა სარწმუნო წყაროებიდან შეიტყო, საბჭოთა ხელმძღვანელების ჩასვლა ინგლისში გათვალისწინებულია 18 აპრილს. ინგლისში ყოფნის დროს ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს, ინგლისის მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროგრამის შესაბამისად, შეხვედრები და საუბრები ექნებათ ინგლისის მთავრობის ხელმძღვანელებთან და დიდი ბრიტანეთის პოლიტიკურ მოღვაწეებთან. აგრეთვე გათვალისწინებულია, რომ ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ეწვევიან, გარდა ლონდონისა, ჰარუელს, ოქსფორდს, ედინბურგს, ბირმინჰამსა და ზოგიერთ სხვა ქალაქს. გათვალისწინებულია, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ნახავენ, კერძოდ, ატომის ენერგიის შესწავლის ცენტრს ჰარუელში, ბრიტანეთის სამრეწველო ბაზრობას ბირმინჰამში, დათვალიერებენ სამეფო სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზას მარემში.

საბჭოთა ხელმძღვანელების წამოსვლა ინგლისიდან გათვალისწინებულია 27 აპრილს.

ინგლისში ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალ გამგზავრებასთან დაკავშირებით მათ სახელზე მოვიდა დაწესებულებათა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ცალკეულ ინგლისელ მოქალაქეთა მრავალი წერილი. ამ წერილებში გამოთქმულია სურვილი, რომ საბჭოთა ხელმძღვანელები ინგლისში ყოფნის დროს ეწვიონ ზოგიერთ ქარხანას, ფაბრიკას, დაწესებულებას და შეხვდნენ ცალკეულ ინგლისელ მოქალაქეებს. როგორც დიდ ბრიტანეთში სსრ კავშირის ელჩი ი. ა. მალიკი იუწყება, ასეთივე ხასიათის მრავალი წერილი მიღებულია საბჭოთა საელჩოში.

საკდესის კორესპონდენტმა ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართა თხოვნით გამოეთქვათ თავიანთი აზრი ამ საკითხზე.

მათ განაცხადეს, რომ სავსებით ესმით იმ ინგლისელ მოქალაქეთა სურვილები, რომლებსაც მათთან შეხვედრა უნდათ.

საბჭოთა ხელმძღვანელები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მომავალ მოლაპარაკებას დიდი ბრიტანეთის მთავრობის ხელმძღვანელებთან და საზოგადო მოღვაწეებთან, და ამავე დროს მათი სურვილია შეხვდნენ უბრალო ადამიანებს, რომლებიც საწარმოებსა და დაწესებულებებში მუშაობენ, რადგან ასეთი შეხვედრები მიაჩნიათ ინგლისელ და საბჭოთა ხალხებს შორის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან საშუალებად.

საბჭოთა ხელმძღვანელების ინგლისში ყოფნის პროგრამა [illegible] ინგლისის მხარემ. ინგლისში საბჭოთა ხელმძღვანელების ყოფნის პროგრამის პირველადელ მონახაზებში, ოფიციალურ პირებთან საუბრებს [illegible] ინგლისის მხარე ითვალისწინებდა აგრეთვე ქვეყნის სხვადასხვა საამრეწველო საწარმოს, დაწესებულებისა და სასოფლო-სამეურნეო რაიონის, მათ შორის შოტლანდიისა და უელსის საწარმოთა დათვალიერებას.

იმისათვის, რომ საშუალება ჰქონდეთ უფრო მეტად გაეცნონ ინგლისის ცხოვრების სხვადასხვა მხარეს, ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოთქვეს სურვილი 2 დღით გაგრძელდეს ინგლისში მათი ყოფნის ვადა, ითვალისწინებდნენ რა, რომ ეს საშუალებას მისცემს მათ უფრო საფუძვლიანად, აუჩქარებლად აწარმოონ მოლაპარაკება ინგლისის ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, აგრეთვე შესაძლებლობას მისცემს ნახონ მეტი საწარმო და დაწესებულება, კერძოდ შოტლანდიასა და უელსში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისის მხარე დათანხმდა ინგლისში საბჭოთა ხელმძღვანელების ყოფნის ვადის განგრძობაზე, პროგრამაში მაინც არ შეიტანეს საწარმოთა და დაწესებულებათა დათვალიერება შოტლანდიასა და უელსში და შეხვედრები მოსახლეობასთან, რაც სამწუხაროა. უფრო მეტიც, ინგლისის მხარის მიერ წინათ წარმოდგენილი პროგრამიდან ამოღებულია წინათ გათვალისწინებული ბევრი სამრეწველო ობიექტის გაცნობა. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გადმოცემულ საბოლოო პროგრამაში გათვალისწინებული იყო ბირმინჰამის საწარმოს დათვალიერება, მაგრამ რატომღაც უკანასკნელ დღეებში პროგრამიდან ამოიღეს ამ საწარმოს დათვალიერებაც.

ნ. ა. ბულგანინმა და ნ. ს. ხრუშჩოვმა საკდესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადეს, რომ დიდად მადლობელი არიან სტუმართმოყვარე ინგლისელი მოქალაქეებისა თავაზიანი მიპატიჟებისათვის, მაგრამ არ შეუძლიათ ისარგებლონ ამ მიწვევით, რადგან ინგლისის მხარის მიერ შედგენილ პროგრამაში ასეთი სტუმრობა არ არის გათვალისწინებული.

ჩანს, ინგლისში ჯერ კიდევ არიან რაღაც ძალები, რომლებსაც არა სურთ დაუშვან საბჭოთა ხელმძღვანელების უფრო ფართო ურთიერთობა დიდი ბრიტანეთის მოსახლეობასთან.

საქართველოს მშრომელები მხურვალედ იწონებენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიმართვას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდების შესახებ

★ ★ ★

მეჯი ბოსტნეული მშრომელებს

ბორი. (საკ. კორ.). სოფელ კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებაში" ერთ-ერთი წამყვანი დარგია მებოსტნეობა. გასულ წელს კოლმეურნეობამ მებოსტნეობიდან ნახევარ მილიონ მანეთამდე ფულადი შემოსავალი მიიღო.

წელს ბოსტნეულის ფართობი 37 ჰექტარით იზრდება. კარგად არის მოწყობილი სასათბურო მეურნეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვამ დიდი შრომითი ენთუზიაზმი გამოიწვია კარალეთელ კოლმეურნეთა შორის.

აგრონომმა ე. ბაზანდარაშვილმა, რომელმაც კოლმეურნეებს გააცნო ეს მიმართვა, განაცხადა: ბოსტნეულის დამზადებამ და შესყიდვაზე დაწესებული ახალი გადიდებული ფასები სტიმულს აძლევს მებოსტნეებს მოიყვანონ უხვი მოსავალი.

— პარტიისა და მთავრობის მოწოდებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მნიშვნელოვნად ამაღლების შესახებ ვუპასუხებთ ბეჯითი შრომით, — განაცხადა ბრიგადირმა ვ. ხარიბეგაშვილმა. მან ბრიგადის სახელით ვალდებულება იკისრა მოსავლელად მიჩენილ თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 104 ცენტნერი პამიდორი ნაცვლად 100 ცენტნერისა, 250 ცენტნერი კომბოსტო ნაცვლად 180 ცენტნერისა, 100 ცენტნერი სტაფილო, გეგმა კი 70 ცენტნერს ითვალისწინებს.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე მერგოლურებმა ს. ტერტერაშვილმა, ა. სუხიტაშვილმა, მებოსტნე კოლმეურნეებმა რ. გურგენაშვილმა, შ. ხარიბეგაშვილმა, ო. ხარიბეგაშვილმა.

კოლმეურნეთა საერთო ვალდებულებაა წელს ბოსტნეულიდან მიიღონ ერთი მილიონი მანეთი შემოსავალი, 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 150 ცენტნერი ყველა სახის ბოსტნეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 120 ცენტნერისა, თვითეული ცენტნერი ბოსტნეულის თვითღირებულება შეამცირონ 20 პროცენტით.

ორჯონიკიძელ კოლმეურნეთა ვალდებულებანი

ორჯონიკიძე. („კომუნისტის" კორ.). საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას ორჯონიკიძის რაიონის მშრომელები ახალი შრომითი აღმავლობით შეხვდნენ.

სოფელ საღანძილის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობაში დასასრულს უახლოვდება ვენახების საგაზაფხულო სამუშაოები. წარმატებით მუშაობენ ამ კოლმეურნეობის მეცხოველეები. 1 აპრილისათვის მათ თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღეს 550 ლიტრი რძე, რაც 140 ლიტრით სჭარბობს გასული სამეურნეო წლის ამავე პერიოდში მიღებულ პროდუქციას.

მწველავმა ა. ქავთარიამ მოსავლელად მიჩენილ 10 ძროხიდან თვითეულზე 1 აპრილამდე მიიღო 910 ლიტრი რძე და პირობა დადო მაისის ბოლომდე თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მიიღოს 1.100 ლიტრი რძე.

კოლმეურნეობამ პერსპექტიული გეგმით 1960 წელს თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.000 ლიტრი რძე უნდა მიიღოს. მეძროხეობის ფერმის გამგემ ლ. კიკნაძემ ფერმის აუშაკთა სახელით ვალდებულება იკისრა ეს დავალება უკვე მიმდინარე სამეურნეო წელს გადაჭარბებით გაანალდოს.

გადამწყვეტი წლის კარგი დასაწყისი

ვისაც ახლა ღრმად აქვს შეგნებული სოფლის გადაუდებელ სამუშაოთა უდიდესი მნიშვნელობა, მას ღიმილს ჰგვრის კითხვა: — დღეს კვირაა, მუშაობთო?

რა დროს კვირაა ან ღამე!.. გაზაფხულმა თითქმის მთელი თვით დაიგვიანა და მხოლოდ ამ რამდენიმე დღეში გვაღირსა თავისი ცხოველმყოფელი მზე. ანგარიში ხომ უნდა გაუსწორო ჩამორჩენილ თვეს. თვე დეკადაში უნდა ჩასტარო. დეკადა — ორ-სამ დღეში, და ეს ისე, რომ სამუშაოთა ხარისხს ოდნავი ჩრდილიც არ მიადგეს.

ასეთია ახლა ამოცანა.

როცა კობიანთკარში კვირის გაზეთები მიიღეს, მთელი სოფლის გულისყური, მთელი კოლმეურნეობის თვალი ამ ნომრის პირველ გვერდზე დაბეჭდილმა მმართველმ მიიპყრო. ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მოგვმართავენ: წარმატებით შევასრულოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მიმდინარე წელს.

კვირადღეა. კოლმეურნეობის არემიდამოში სრული ძალით დამკვიდრებულა გაზაფხული. თითქმის ცხელა. ოთხ-ხუთი დღის წინათ კი ყინავდა. ფლატეებში აქა-იქ ჩარჩენილა თოვლი და ამიტომ ფერდობები, გორაკები ხალებიანი ირმის ზურგივით არის მოხატული. თვალუწვდენ გადახნულ მინდვრებზე, ეკალებში მუშაობენ სათესი მანქანები. ბოსტნეულისა და კარტოფილის თესვა გაუჩაღებიათ. ფერმაში დიდი ფაციფუცია — პრაუტყვეულათვის საკვების კეპავენ, ორთქლებენ, სადგომებს ასუფთავებენ, ნაკელი გაიკვნა, საქონელს არწყულებენ, იქით — წველიან. რძე უხვად ჰოდის!

...მიმართვის დაკნობამ უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია კობიანთკარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში, ახალი ენერგიითა და ენთუზიაზმით აღუჭურვა კოლმეურნეები.

ახლა კოლმეურნეობას ღრმად აქვს შეგნებული, რომ ძირითადია მარცვლეულის პრობლემის გადაჭრა. გასულ სასოფლო-სამეურნეო წელს მარცვლეულის კარგი მოსავალი მოიყვანეს. ამან ერთიორად აამაღლა თვითეული კოლმეურნის შემოსავალი — შრომადღეზე დარიგდა ოთხი კილოგრამი მარცვალი, 1.5 მანეთი ფულად, რძე, ყველი, ბოსტნეული. მაგალითად, კოლმეურნე სერგო ვარძიმაშვილის ოჯახმა მიიღო ექვსი ტონა მარცვლეული, 750 კილო კომბოსტო, ოთხასი ლიტრი რძე, ათასი მანეთი ფულად.

როცა კოლმეურნეობაში ამ მიმართვას გაეცნენ, თვითეულმა შეგნებულმა კოლმეურნემ ასეთი კითხვა დაუსვა თავის თავს:

— მართლაც რატომ არ შეიძლება, რომ ჩვენი კოლმეურნეობის პერსპექტიული ხუთწლიანი გეგმა შევასრულოთ?

ავიღოთ, მაგალითად. ამ კოლმეურნეობაში წველადობის საკითხი. პერსპექტიული გეგმით 1960 წლისათვის დასახულია თვითეულ საფურაჟე ძროხაზე 1.300 ლიტრი რძის მიღება. კოლმეურნეობა როდი ელოდება მაინცდამაინც ხუთწლედის ბოლო წლის დადგომას. აი ვინ წელს უკვე მიაღწია თვითეულ საფურაჟე ძროხაზე საშუალოდ 1.100 ლიტრი რძის მიღებას. რაღა აკლია ხუთწლიანი გეგმის შესრულებას უკვე პირველსავე წელს? — 200 ლიტრი. ე. ი. წველადობის ხუთწლიან გეგმას კოლმეურნეობა ასრულებს უკვე 1956-1957 წლებში. დარჩენილი ორი-სამი წელი კი წველადობის უთუოდ უფრო მეტ ზრდას გვიჩვენებს. რით იქნა ეს მიღწეული? — ფერმის სრული მექანიზაციით და ძროხების ჯიშთა გაუმჯობესებით, უკეთესი მოვლითა და კვებით, უფრო გონივრული, ნაყოფიერი შრომით. რატომ არ შეიძლება ასევე ვადაზე შესრულდეს კოლმეურნეობაში, ვთქვათ, სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ხუთწლიანი გეგმა? — შეიძლება შესრულდეს ეს ადრევეც შესრულდება. სიმინდზე კოლმეურნეობაში გაამართლა თავისი თავი — იგი მარცვლეულის რესურსების შევსების ერთ-ერთი მთავარი წყარო გახდა. რას ისახავს ხუთწლიანი გეგმა ამ მხრივ? — სიმინდის ფართობი დღევანდელი 150 ჰექტარიდან აყვანილ იქნას 250 ჰექტარამდე, ხოლო მოსავლიანობა გაიზარდოს 32 ცენტნერამდე ჰექტარზე, ნაცვლად შარშან მიღებული 16 ცენტნერისა, ხორბლის მოსავლიანობა კი 8 ცენტნერიდან 14 ცენტნერამდე ჰექტარზე.

როგორია დღეისათვის სურათი? გადავხედოთ მოწინავეთა მაგალითს. პირველი ბრიგადის რგოლმა, რომელსაც მაგდანა მთიულიშვილი ხელძღვანელობს, 15 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანა 30 ცენტნერი სიმინდი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 15 ცენტნერისა, ხოლო ხორბალი 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 13 ცენტნერი, ნაცვლად 8 ცენტნერისა.

რას გვეუბნება მოწინავეთა ეს მაგალითი? — კოლმეურნეობის ხუთწლიანი გეგმა შეიძლება შესრულდეს ორი და ზოგიერთ დარგში სამი წლით ადრეც.

კოლმეურნეობას დიდი შესაძლებლობანი აქვს კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის, იმისათვის, რომ სახელმწიფოს წინაშეც პირნათლად შეასრულოს თავისი ვალდებულებანი. ესაა: 700 ჰექტარამდე უხვმოსავლიანი სახნავ-სათესი ფართობი, 1.500 სული ცხვარი, მაღალპროდუქტიული ფერმა, ბაღი და ბოსტანი, ვენახი და საძოვრები. მაგალითად, წელს კოლმეურნეობამ გამონახა ახალი რეზერვები სიმინდის ფართობის გასაადიდებლად — ათასი ყამირი მიწები. წელს აქ 42 ჰექტარით მეტ ფართობზე ითესება სიმინდი, ვიდრე შარშან. შუნდება კიდევ ორი სასილოსე კოშკი ორასი ტონის მოცულობისა. სასილოსე კულტურები 40 ჰექტარით მეტ ფართობზე დაითესება, ვიდრე შარშან.

დიდია მეცხვარეობის პერსპექტივებიც. ხუთწლიანი გეგმით აქ გათვალისწინებულია ცხვრის სულადობა 1.500-დან 3.000-მდე აიყვანონ, ხოლო მატყლის საშალაო გამოსავლიანობა თვითეული ცხვარზე 2,4 კილოგრამიდან — 3,5 კილოგრამამდე. სასილოსე ნაგებობათა ტევადობას 1.000 ტონამდე გაზრდიან, დამატებით აიშენებენ ორ ნახევრადმექანიზებულ ბოსელს ოთხმოცი სული პირუტყვისათვის. ბაღების ფართობი ერთიორად გაიზრდება.

კოლმეურნეობამ ამოცანად დაისახა ყოველივე ამის მიაღწიოს 1957 წლისათვის.

ახლა მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებში გაცხოველებული საგაზაფხულო სამუშაოებია — მიმდინარეობს თესვა.

პარტიისა და მთავრობის 7 აპრილის მიმართვა კოლმეურნეებს ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებს.

ვლ. თორდუა,
„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.
დუშეთი. 8 აპრილი.

დუშეთის რაიონის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიორგი პაპაშვილი კოლმეურნეებს აცნობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ზრუნვა უხვი მოსავლისათვის

ზუგდიდი. (საკ. კორ.). საკოლმეურნეო სოფელში დიდი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. დღითიდღე ძლიერდება მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპი. სოფელ შამგონის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პარტიისა და მთავრობის მიმართვის პასუხად გადაწყვიტეს ფართოდ გამოიყენონ შრომის პროგრესული მეთოდები და მკვეთრად აამაღლონ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა, გაადიდონ მეცხოველეობის პროდუქტიულობა. შამგონელები წელს 195 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანენ 25 ცენტნერ სიმინდს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერისა, ხოლო 63 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 2.800 კილოგრამ ჩაის — გეგმით გათვალისწინებული 2.100 კილოგრამის ნაცვლად.

კოლმეურნეობის პირველი ბრიგადის ბრიგადირმა დ. ნადარაიამ მიმართვის გაცნობისას თქვა:

პარტიისა და მთავრობის მიმართვაში დასახულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების მკვეთრი გადიდება. ბრიგადის სახელით ვალდებულებას ვკისრულობ 30 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანო 30 ცენტნერი სიმინდი.

გადიდებული ვალდებულებები იკისრეს მოწინავე მევენახეებმა და მეცხოველეებმა.

კოლმეურნეობა ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა საგაზაფხულო სამუშაოებს. დამთავრებულია ჩაის პლანტაციების გადაბარვა, სხვლა, ნიადაგში მინერალური სასუქების შეტანა. დაიწყეს ს

მთელი ძალები სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად

მეგ ქვანახშირს მოითხოვს სამშობლო ჯყიბულელი მეშახტეებისგან

„საჭიროა მტკიცედ და გეგმაზომიერად ვნერგავდეთ მრეწველობაში და ტრანსპორტზე მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლეს მიღწევებს, ვახორციელებდეთ მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაციას, ვაუმჯობესებდეთ და სრულვყოფდეთ შრომისა და წარმოების ორგანიზაციას, უფრო ფართოდ ვახორციელებდეთ სპეციალიზაციასა და კოოპერირებას მრეწველობაში, ამ საფუძველზე ვაღწევდეთ შრომის ნაყოფიერების სწრაფ გადიდებას, რომელიც წარმოების ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების დავალებათა შესრულების გადამწყვეტი პირობაა".

(სკკპ XX ყრილობის რეზოლუციიდან)

პირველნი საქართველოში

წელს ტყიბულელი მეშახტეები საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ და თანდათან აძლიერებენ ქვანახშირის მოპოვების ტემპს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყიბულქვანახშირის ტრესტის სტალინის სახელობის შახტის კოლექტივის მუშობა. საქართველოს ქვანახშირის მრეწველობაში ამ შახტმა დამსახურებულად მოიპოვა პირველობა და ყველაზე მოწინავე შახტის სახელი.

ამ შახტში პირველად დანერგეს და გამოიყენეს ეგრეთწოდებული ჰიდრავლიკური ვსების მეთოდი, რომელიც ტყიბულის პირობებში ქვანახშირის მოპოვების ყველაზე რაციონალურ და პროგრესულ მეთოდად არის მიჩნეული. ამ მეთოდით მუშობის დანერგვამ, ამასთან მეშახტეებს შორის სოციალისტური შეჯიბრების მასობრივად გაშლამ ტრესტის ამ მოწინავე კოლექტივს საშუალება მისცა ზედიზედ მოეპოვებინა გამარჯვება სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საერთო წარმატება მიღწეულია მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებით. თვითეული მეშახტის თავდადებული, მაღალნაყოფიერი შრომით.

ახლა აქ ახალი ძალით არის გაჩაღებული საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ სამშობლოს აპრილის გეგმის გადამეტებით გაეგზავნოს რამდენიმე ეშელონი ქვანახშირი. შეჯიბრებაში ჩაბმული არიან ყველა პროფესიის მეშახტეები.

ბოლო დროს ზეგეგმითი ქვანახშირის მოპოვებით თავი ისახელა მრავალმა ბრიგადამ, რომლებმაც წარმატებით გაართვეს თავი ციკლური გრაფიკით მუშობას. ერთ-ერთი მოწინავეა შახტის მესამე საექსპლოატაციო უბნის ბრიგადა, რომელსაც იაკობ კაკუშაძე ხელმძღვანელობს.

სურათზე: (მარცხნიდან) მნგრეველები ი. კაკუშაძე (ბრიგადირი), ო. ბოჭორიშვილი და გ. ბარანოვი ერთმანეთს ესაუბრებიან შახტში შესვლის წინ.

ფოტო დ. საბელაშვილისა.

ორი წინადადება

ტყიბულელი მეშახტეები აქტიურად ჩაებნენ მეექვსე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესასრულებლად გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში.

აქტიურად მონაწილეობს 1956 წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის შეჯიბრებაში სტალინის სახელობის შახტის კომკავშირულ-კომბელექსური ბრიგადა, რომელსაც მე ვმეთაურობ. იანვრისა და თებერვალში ბრიგადამ ქვანახშირის ამოღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 23 პროცენტით გაზარდა და იკისრა წელს გეგმის გადამეტებით ამოიღოს სულ ცოტა 4 ათასი ტონა ქვანახშირი. მიზნად გვაქვს დასახული ამ ვალდებულების გასანაღდებლად ავამოქმედოთ და გამოვიყენოთ ადგილობრივი რეზერვები.

გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თუ რა კარგი ნაყოფი მოაქვს ციკლური გრაფიკით მუშობას. იანვარში, როცა ჩვენი ბრიგადა ციკლური გრაფიკით მუშობდა, ქვანახშირის მოპოვების გეგმა 111 პროცენტით გავანაღდა. თებერვალში ციკლი ჩაგვეშალა, ვიაიადან შახტის ხელმძღვანელობა არ დაგვეხმარა, არ შეგვიქმნა პირობები ინსკოვთვის, რომ ციკლში ყველა საშუალო შეგვესრულებინა. ასევე იყო მარტში. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ახლა მაინც მოგვცეს ციკლური გრაფიკით მუშობის საშუალება.

მეშახტეებისათვის ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს სანგრევებში სტანდარტული ზომების ბოგების მიწოდებას. ასეთი სტანდარტული ხე-ტყით მომარაგების დროს მებიგის შრომის ნაყოფიერება ერთიორად მაღალია, მალე ხორციელდება გაშინამუშევრის გამაგრება და ამით ახალი სამუშაო ფრონტის გახსნა. ჩვენთან კი ხშირად მოაქვთ არასტანდარტული ზომების ბოგები, რაც იწვევს მათი დამუშავების აუცილებლობას, გამაგრების სამუშაოთა გახანგრძლივებას და ხე-ტყის მასალის დანაკარგებს. მოუგვარებელია აგრეთვე სანგრევის რეგულარულად მომარაგება ხე-ტყით. ზოგჯერ, განსაკუთრებით დიღის ცვლაში, ბრიგადა იძულებულია გაცდეს, ვინაიდან სამაგრი ხე-ტყე არა აქვს.

უნდა აღინიშნოს, რომ ხე-ტყის მომარაგების საქმე არ არის ძნელი მოსაგვარებელი. თუ, მაგალითად, ერთი საათის — საათნახევრის შემდეგ მოაქვთ ჩვენს სანგრევში ხე-ტყე, რატომ არ შეიძლებოდა იმავე ხე-ტყის მიზიდვა დანიშნულებისამებრ თავის დროზე.

ციკლური გრაფიკით მუშობის დროს მეშახტეების უზრუნველყოფა ყოველივე იმით, რაც საჭიროა შეუფერხებელი შრომისათვის, და სამაგრი მასალის დროულად მიზიდვა სანგრევში არ წარმოადგენს ისეთ სიძნელეებს, რომელთა დასაძლევადაც შახტის ხელმძღვანელობას „ზემოდან" დახმარება დასჭირდეს. რასაკვირველია, ჩვენ იმას არ მოვითხოვთ, რომ მარტო ჩვენს ბრიგადას გაუწიონ ეს დახმარება. ასეთივე დახმარება შახტის ხელმძღვანელებმა ყველა ბრიგადას უნდა აღმოუჩინონ.

ი. ოარჯოლნიკიძე,
სტალინის სახელობის შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი.

ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების შესამცირებლად

ტყიბულში ორი სარემონტო-მექანიკური სახელოსნოა. ერთი ეკუთვნის ტყიბულქვანახშირის ტრესტს და ეწოდება ელექტრომექანიკური საწარმო, რომელიც მოწოდებულია შეაკეთოს საშახტო მექანიზმები, გამოუცვალოს მათ გაცვეთილი დეტალები. მეორე სახელოსნო ეკუთვნის შახტმშენებლობის ტრესტს. მაგრამ ეს სახელოსნო არ არის კარგად მოწყობილი და ამის გამო შახტმშენებლებს უხდებათ თავიანთი დაკვეთების დიდი ნაწილი მეშახტეების სახელოსნოს გადასცენ.

მაგალითად, 1955 წელს ტყიბულქვანახშირის ტრესტის ელექტრომექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა შახტმშენებლებს ერთი მილიონი მანეთის დაკვეთები შეუსრულა. ამავე დროს ორივე სახელოსნო დაკომპლექტებულია თანაბარი შტატით.

საჭიროა საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა განიხილოს ამ ორი სარემონტო-მექანიკური სახელოსნოს ერთ სამეურნეო ორგანიზაციად გაერთიანების საკითხი. საქმისათვის ეს ცუდი არ იქნება, ხოლო ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯები საგრძნობლად შემცირდება.

ვ. კაზიონი,
ინჟინერ-მექანიკოსი.

ქვანახშირის ახალი კარიერი

ტყიბული. (საკ. კორ.). დიდი ხანი არ არის, რაც ლენინის სახელობის შახტის კოლექტივი შეუდგა ღია, ე. წ. საკარიერო წესით ქვანახშირის მოპოვებას, რაც შახტს საგრძნობ ეკონომიურ ეფექტს აძლევს. ღია წესით მოპოვებული ტონა ქვანახშირი 3-4-ჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე შახტიდან ამოღებული. ამასთან ღია წესით მოპოვებისას ქვანახშირის დანაკარგები მკვეთრად მცირდება.

ამჟამად დაწყებულია კიდევ ერთი ახალი კარიერის მოწყობა ქვანახშირის ღია წესით ამოსაღებად. კარიერის მოწყობას ხელმძღვანელობს სამთო დარგში გამოცდილი სპეციალისტი გ. გიორგაძე.

თემა რაციონალიზაციორებისათვის

შახტში გამყვან მუშას მეტად დიდი და პასუხსაგები მოვალეობა აკისრია. მასზეა დამოკიდებული ახალი სამთო ველებისა და ქვანახშირის ლავების დროულად გახსნა, მტკიცე სამუშაო ფრონტის შექმნა. სამთო გამონამუშევრის გაყვანის ტემპის შენელება, კვალიფიციური გამყვანის გაცდენა გავლენას ახდენს შახტში ხვალინდელ მუშობაზე, ქვანახშირის ამოღების პერსპექტივაზე.

ტყიბულქვანახშირის ტრესტის ზოგ შახტში, მათ შორის ლენინის სახელობის შახტში, გამყვანის შრომას ჯეროვნად არ აფასებენ. ხშირად გამყვანებს აკისრებენ ისეთი სამუშაოს შესრულებას, რომელიც მათი პირდაპირი მოვალეობა არ არის. ეს კი ამცირებს გამყვანის შრომის ნაყოფიერებას, ანელებს სამუშაო ფრონტის მომზადების ტემპს.

მაგალითისათვის ავიღებ ჩემს გამოცდილებას. ამჟამად ვმუშაობ ფენის აღმავლად გამკვეთი გამონამუშევრის გაყვანაზე. ნორმით ყოველ ცვლაში სანგრევის ხაზი წინ უნდა წავწიო 1,74 მეტრით, დავაგრძელო სავენტილაციო მილები, შევზიდო ხის ბოგები და გავამაგრო სანგრევი. ამ სამუშაოთა კომპლექსის შესრულება ძალ დროს და ენერგიას მოითხოვს.

წესის მიხედვით სანგრევში ყოველი აფეოქების წინ უნდა მოაფრქვიონ 120 კილოგრამი ინერტული მტვერი, რასთვისაც ერთი მუშა უნდა იყოს გამოყოფილი. ჩვენ კი ასეთი მუშა არა გვყავს და, მაშასადამე, ეს საქმე ჩვენ, გამყვანებმა, უნდა შევასრულოთ.

საკვირველი ის არის, რომ ტყიბულში ყოველ კრებაზე, ყოველ საწარმოო თათბირზე ლაპარაკობენ მეშახტეთა, შახტმშენებელთა და გამყვანთა შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ. ამავე დროს კი ვერ მოუწესრიგებიათ ის, რომ გამყვანები ნორმით გაუთვალისწინებელი სამუშაოთი არ გადატვირთონ.

ამ საქმის მოწესრიგება კი საჭიროა რაც შეიძლება მოკლე დროში. საამისოდ რაციონალიზატორებს უნდა მივცეთ ახალი თემა თავიანთი შემოქმედებითი მუშაობისათვის — შეიძლება თუ არა მოფრქვევისათვის გამოვიყენოთ წყლის ჭაელი, ან არის თუ არა იმის შესაძლებლობა, რომ განვახორციელოთ სანგრევში ინერტული მტვრის მოფრქვევის მექანიზაცია.

ი. კუბლაშვილი,
ლენინის სახელობის შახტას გამყვანი.



ლენინის სახელობის შახტი ტყიბულში ასაკით უძველესია, ხოლო ტექნიკური მოწყობის მიხედვით — ერთ-ერთი უახლესი. ტყიბულში ქვანახშირის მოპოვება თავიდანვე სწორედ იმ ადგილებში ხდებოდა, სადაც ახლა ეს შახტია. წინათ მის ადგილას იყო პრიმიტიულად მოწყობილი მაღარო, რომელიც ამ ათიოდე წელზე მეტი ხნის წინათ რეკონსტრუირებულ იქნა თანამედროვე ტექნიკის შესაფერისად გამართულ შახტად. სურათზე: ლენინის სახელობის შახტის მთავარი სატრანსპორტო შესასვლელი.

ფოტო დ. საბელაშვილისა.

მეექვსე ხუთწლედში ქვანახშირის ამოღების გასაღიდებლად

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ პარტიის XX ყრილობის მიერ დამტკიცებული დირექტივების მიხედვით საქართველოს მეშახტეებმა 1960 წლისათვის ქვანახშირის ამოღება 1,4-ჯერ უნდა გაადიდონ.

ამ დიდი ამოცანის პირნათლად გასაღდებისათვის ტყიბულელ მეშახტეებს ყველა პირობა აქვთ. 1955 წელს ტყიბულის საბადოს შახტებში ქვანახშირის ამოღება 1950 წლის დონესთან შედარებით გაიზარდა 32,5 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა 40,2 პროცენტით და რენტაბელური მუშაობის შედეგად ტყიბულელი მეშახტეებისაგან სახელმწიფომ მიიღო 4 მილიონამდე მანეთი ეკონომია. ეს წარმატებები ტყიბულელებმა მოიპოვეს სამთო-მოსამზადებელ სამუშაოთა გაფართოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების შედეგად, შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის უზრუნველყოფით. თუ გულდასმით შევისწავლით ჩვენი მეშახტეების მუშობას, აღმოჩნდება, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდა, განსაკუთრებით მიწისქვეშა სამუშაოებზე, მიღწეულ იქნა უმთავრესად ორი ღონისძიების განხორციელებით — შრომის რაციონალური ორგანიზაციით და მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებით.

მაშასადამე, გამოცდილება გვიკარნახებს, რომ ამ მიმართულებით მუშობა კვლავაც უნდა გავაძლიეროთ, მეტი ყურადღება მივაქციოთ წარმოების ორგანიზაციულ მხარეს, მოწინავე გამოცდილების დანერგვას. ამათან არსებული რეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებას.

ჩვენი ათვარი ჯერ კამოუყენებელი რეზერვია შახტების საპროექტო სიმძლავრეები. შახტების საპროექტო სიმძლავრეთა ათვისებაა დონე ჯერ-ჯერობით დაბალია. ლენინის სახელობის შახტის კოლექტივმა, როშელსაც ტყიბულქვანახშირის ტრესტში მოწინავე ადგილი უკავია, გადაწყვიტა მახტის საპროექტო სიმძლავრის ათვისებისათვის დაწესებული დრო ორი წლით შეამციროს. კარგად მოაწყეს ბრძოლა საპროექტო სიმძლავრის ათვისებისათვის სტალინის სახელობის შახტში, მაგრამ ამასვე ვერ ვიტყვით მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივის შესახებ.

ტყიბულქვანახშირის ტრესტმა დასახა შახტებში შრომისა და წარმოების გაუმჯობესების მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებმაც შედეგად უნდა მოგვცეს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდა, ქვანახშირის ამოღების ტემპის ამაღლება. მთავარ ამოცანად დასახულია შრომის ორგანიზაციის პროგრესული ფორმაზე — სადღეღამისო ციკლური გრაფიკით მუშობაზე გადასვლა. სამწუხაროდ, ტყიბულის შახტებს ზოგ საექსპლოატაციო უბანზე ციკლური გრაფიკით მუშობის დანერგვაში დაშვებულია ფორმალიზმი. ბევრი ლავი, სადაც შეიძლება ციკლური მუშობის უზრუნველყოფა, ციკლით გათვალისწინებულ სამუშაოს ვერ ასრულებს. გრაფიკს ფუშავს და ამის შედეგად ქვანახშირის ამოღების დავალებები არ სრულდება. ჩვენი გადაწყვეტილებაა სასწრაფოდ აღმოვფხვრათ ამ საქმეში ფორმალიზმის ყოველგვარი გამოვლინება.

ამას წინათ ციკლური გრაფიკით მუშობის უზრუნველყოფის საკითხი განვიხილეთ შახტებისა და საექსპლოატაციო უბნების ხელმძღვანელთა საწარმოო თათბირზე, დავსახეთ ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი ამ საქმეში მდგომარეობის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის. თათბირზე მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რომ ციკლური გრაფიკით მუშობაზე გადავიყვანოთ არა მარტო საექსპლოატაციო ლავები, არამედ ამასთან სამთო-მოსამზადებელ უბანთა სანგრევებიც.

ტყიბულში დიდი შესაძლებლობები გვაქვს მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ გავრცელების მხრივაც. ჯერ თვითონ ჩვენი, ადგილობრივი მოწინავე მეშახტეების, უბნის უფროსების, ნოვატორების გამოცდილების ყველა შახტში, უბანზე და სანგრევში გავრცელებაც დიდად შეგვიწყობდა ხელს ქვანახშირის მოპოვების განუხრელ ზრდაში. მართალია, ცოტა რამ უკვე გაკეთდა და ახლაც კეთდება იმისათვის, რომ წარმოების უნარიანი ორგანიზატორების და ნოვატორების გამოცდილება საერთო კუთვნილებად გადაქცეოთ, მაგრამ ეს არ კმარა. საჭიროა შეექმნათ მოწინავე გამოცდილების შემაერთებელთა სკოლები, ყველა ღონისძიებით ავამაღლოთ მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება, რაც ქვანახშირის მოპოვებაში სწრაფი წინსვლის გადამწყვეტი პირობაა.

ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ფენათა დამუშავების ყველაზე შესაფერისი რაციონალური სიტემის შერჩევას, ახალი მძლავრი საშახტო ტექნიკის დანერგვას და ამ ტექნიკის სრული სიმძლავრით გამოყენებას. ტყიბულის შახტებში სანგრევი ხაზები ჩვეულებრივად მცირე ზომისაა. ეს შეუძლებელს ხდის ისეთი ძვირფასი საშახტო მექანიზმის გამოყენებას, როგორიც არის სამთო კომბაინი. ჩვენი ამოცანაა შევარჩიოთ ფენათა დამუშავების ისეთი სისტემა, რომ შესაძლებელი იქნეს წმენდითი ხაზის გადიდება და, მაშასადამე, ფენათა დამუშავებაში სამთო კომბაინის გამოყენება. ასეთი რაციონალური სისტემის შერჩევა, რასაკვირველია, იოლი, მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არ არის. ამიტომ კარგი იყო, რომ ამას წინათ საქართველოს ქვანახშირის კომბინატის ხელმძღვანელებმა მეშახტე ინჟინერთა ჯგუფი მიაელინეს კუზბასის შახტებში სათანადო გამოცდილების გასაცნობად.

კუზბასში მუშაობა უხდებათ დაახლოებით ისეთსავე პირობებში, როგორიც ტყიბულის შახტებშია. აუცილებლად საჭიროა კუზბასის სქელი და თან დაბრილი ფენების დამუშავებაში გამოცდილების შესასწავლად კვლავ განვაგრძოთ ჩვენი სპეციალისტების საწარმოო მივლინებების პრაქტიკა. ფენათა დამუშავების უფრო შესაფერისი სისტემის შერჩევაში ტყიბულელები მეტ დახმარებას მოველით ქვანახშირის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საქართველოს ფილიალისაგან.

დიდი ძნიშვნელობა ენიჭება ჩვენს შახტებში შრომატევადი სამუშაოების ეგრეთწოდებული მცირე მექანიზაციის განხორციელებას. სწორედ აქ არის საჭირო ჩვენთვის დახმარება, მაგრამ ამ დახმარებას ვერ ვგრძნობთ ვერც ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რესპუბლიკური ფილიალისა და ვერც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლითონის და სამთო საქმის ინსტიტუტის მხრივ.

ტყიბულელ მეშახტეებში ახლა დავას აღარ იწვევს ის გარემოება, რომ აღმავალ სამთო გამონამუშევართა გაყვანის მექანიზაცია მკვეთრად ადიდებს მეშახტეთა შრომის ნაყოფიერებას. შარშან აქ მივიღეთ აღმავალ სამთო გამონამუშევართა გასაყვანი ორი სპეციალური დანადგარი. ძირითადად ეს მანქანები შესაფერისი აღმოჩნდნენ ტყიბულის პირობებისათვის, მაგრამ მათ მაინც აღმოაჩნდათ რამდენიმე კონსტრუქციული ნაკლი, რომელთა გამოსწორება ძნელი არ იქნებოდა, თუ ჩვენი სამეცნიერო ძალები ამით დაინტერესდებოდნენ.

პარტიის XX ყრილობაზე აღინიშნა მიწისქვეშა სამუშაოებში ავტომატიკისა და დისტანციური სამართავი აპარატურის ფართოდ დანერგვის მნიშვნელობა. ტყიბულის შახტებში ავტომატიზაციისა და დისტანციური მართვის განხორციელება საშუალებას მოგვცემდა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაგვეთავისუფლებინა 200 მექანიზატორი და დამხმარე მუშა, რაც ჩვენთვის საგრძნობ ძალაა წარმოადგენს.

ტყიბულის შახტებში ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შახტმშენებელთა და რკინგიზელთა შეუფერებელ, გამართულ მუშობას. შახტმშენებლები ამჟამად ამზადებენ სამუშაოთა ახალ ფრონტს ლენინის სახელობის შახტში. უნდა ითქვას, რომ ამ შახტის კოლექტივს უკვე აღებული აქვს მუშაობის მაღალი ტემპი, და თუ მათ შახტმშენებლებმა უახლესი რამდენიმე თვის განმავლობაში არ მისცეს ახალი ფრონტი, შახტი დიდი შეფერხების წინაშე აღმოჩნდება.

რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა საყურადღებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ტყიბულში ხშირად ფერხდება ქვანახშირის გაზიდვა ცარიელი ვაგონების მიუწოდებლობისა გამო. ეს იწვევს ე. წ. საავარიო საწყობებში ქვანახშირის მარაგის ზრდას, ზენორმატიულ დაგროვებას, რაც გავლენას ახდენს ტრესტის მუშობაზე. ცნობილია, რომ საწყობში დიდხანს დაყრილი ქვანახშირის ხარისხი უარესდება, ხოლო თვითღირებულება იზრდება და მეორე მხრივ ქვანახშირის მიუწოდებლობის გამო ფერხდება მრეწველობის ცალკეულ საწარმოთა მუშობა.

მეექვსე ხუთწლედში ტყიბულში ბევრი რამ უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ქვანახშირის მოპოვება მკვეთრად გაიზარდოს, მეშახტეთა შრომის ნაყოფიერება ამაღლდეს.

უწინარეს ყოვლისა გათვალისწინებულია გელათის შახტის რეკონსტრუქცია, მისი ისე მოწყობა, რომ ამ შახტმა მომავალში მოგვცეს უკეთესი ხარისხის ქვანახშირი და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე ახლა გვაძლევს. აქვე მეშახტეებისათვის გადაწყვეტილია კეთილმოწყობილი საცხოვრებელი უბნის გაშენება, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურებისათვის საჭირო მთელი კომპლექსით.

მეექვსე ხუთწლედი იქნება ტყიბულში ახალი სამახტო ველების ექსპლოატაციის დაწყების პერიოდი. შაორის საბადო, როგორც ცნობილია, ტყიბულის საბადოს გაგრძელებას წარმოადგენს. მეექვსე ხუთწლედში აქ გაფართოვდება გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები და დადგენილ იქნება მარაგი. ახალი სამახტო ველების ექსპლოატაციაში შეყვანით ტყიბული ქვანახშირის მრეწველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი გახდება. ამ ახალი სამახტო ველების ბაზაზე სულ მოკლე ხანში გათვალისწინებულია ახალი მძლავრი შახტის მშენებლობის დაწყება.

შახტის მშენებლობასთან ერთად საჭირო იქნება ტყიბულელი მეშახტეებისათვის ახალი საცხოვრებელი უბნის გაშენება, საგრძნობი კაპიტალდაბანდებანი.

ამრიგად, მეექვსე ხუთწლედში ტყიბულის სამრეწველო რაიონი შესაძლებლად გაფართოვდება. აღმოცენდება ქვანახშირის მოსაპოვებელი ახალი უბნები, შეიქმნება იმის შესაძლებლობა, რომ მომავალში კვლავ გავაფართოოთ შახტების ქსელი, სამშობლოს მივცეთ საუკეთესო ხარისხის იმდენი ქვანახშირი, რამდენიც დასჭირდება.

მეექვსე ხუთწლედი ტყიბულელ მეშახტეთა ოსტატობის ამაღლების, მათი შრომის ნაყოფიერების მკვეთრი ზრდის პერიოდი იქნება. აქეთკენ არის ახლა მიმართული ტყიბულელ მეშახტეთა პარტიული, კომკავშირული და სამეურნეო ხელმძღვანელების ყველა ღონისძიება, მთელი მათი ენერგია.

ფ. ნაბუეია,
ტყიბულქვანახშირის ტრესტის მმართველი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა ამხ. პავლე პავლეს-ძე ლობანოვი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა დანიშნა ამხ. ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაცკევიჩი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაკმაყოფილა ამხ. ტროფიმე დენისის-ძე ლისენკოს თხოვნა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ.

საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტად დამტკიცებულია ამხ. პავლე პავლეს-ძე ლობანოვი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროში

საგარეო საქმეთა სამინისტროს ნოტასთან დაკავშირებით ინდოჩინეთის შესახებ ჟენევის თათბირის ორი თავმჯდომარის შეხვედრის საკითხზე, რაც გამოქვეყნდა საბჭოთა პრესაში 6 აპრილს, დიდი ბრიტანეთის მთავრობამ გამოგზავნა განცხადება, რომ იგი იღებს საბჭოთა მთავრობის წინადადებას, რომ ასეთი შეხვედრა მოეწყოს უახლოეს დღეებში. დიდი ბრიტანეთის მთავრობამ დაავალა საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრს ლორდ რედინგს მიიღოს მონაწილეობა მოლაპარაკებაში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, როგორც ჟენევის თათბირის ერთ-ერთი თავმჯდომარის, სახელით.

ა. ა. გრომიკოს და ლორდ რედინგის პირველი შეხვედრა განზრახულია 11 აპრილისათვის.

წულუკიძელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამგრედიელები

ფულუკიძე. („კომუნისტის“ კორ.). რაიონის სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია მეაბრეშუმეობა. გასულ წელს რაიონმა აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა 105,8 პროცენტით შეასრულა, გადაჭარბებით განადგა აგრეთვე მეთუთეობის განვითარების დავალებანი.

წულუკიძელი მეაბრეშუმეები დიდი ინტერესით სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და ებმებიან სოციალისტურ შეჯიბრებაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ამის წინათ შედგა მოწინავე მეაბრეშუმეთა რაიონული თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ვალდებულება იკისრეს წელს სახელმწიფოს ჩაბარონ 240.000 კილოგრამი ხარისხოვანი აბრეშუმის პარკი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 232.000 კილოგრამისა. აქედან გაზაფხულის გამოკვების აბრეშუმის პარკის დამზადების გეგმა შესასრულონ 102,3 პროცენტით — დამზადონ 201.000 კილოგრამი პარკი, მეთუთეობის განვითარების მიზნით გააშენონ 35 ჰექტარი თუთის პლანტაცია ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 30 ჰექტარისა, 40.000 ძირის ნაცვლად დარგონ 45.000 მაღალტანიანი თუთის ნერგი.

მეაბრეშუმეთა თათბირზე აღინიშნა, რომ პარკის მოსავლიანობის გადიდების მთავარი რეზერვია შრომის ნაყოფიერების მკვეთრად ამაღლება, აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის სწორად განხორციელება. ამ რეზერვების სრულად გამოყენება, — ნათქვამია წულუკიძელთა წერილში, — საშუალებას მოგვცეს გადაჭრათ სადღეისო ამოცანა— მნიშვნელოვნად შევამცირეთ შრომადღეებისა და სახსრების ხარჯვა პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე, 1956 წელს მასობრივად დაუნერგოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევები და მოწინავე გამოცდილება.

წულუკიძელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს სამგრედიელი მეაბრეშუმეები.

15 მანეთი ავანსი შრომადღეზე

მახარაძე. (საკ. კორ.). რაიონის მოწინავე კოლმეურნეობებში დაიწყო ავანსის გაცემა წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე.

სოფელ მახარაძის კოლმეურნეობამ „გზა კომუნიზმისაკენ“ მძლავრი შრომითი აღმავლობით დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წელი. სანიმუშოდ ჩაატარეს საზამთრო-საგაზაფხულო სამუშაობები. წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კოლმეურნეებმა უკვე მიიღეს ავანსად 15 მანეთი ფულად და 2 კილოგრამი მარცვლეული.

— ყოველთვიური ავანსის გაცემამ დიდად გაზარდა კოლმეურნეთა შრომითი დაინტერესება, მკვეთრად გაუმჯობესდა შრომის ორგანიზაცია, — განაცხადა კოლმეურნეობის ბრიგადირმა გ. ბაკურაძემ. — კოლმეურნეთა მატერიალური პირობების ამ ახალ გაუმჯობესებასთან დაკავშირებით გადავწყვიტეთ 20 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 5.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 22 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე — 35 ცენტნერი სიმინდი.

წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე ავანსი გასცეს რაიონის სხვა კოლმეურნეობებმაც.

საყურადღებო წვრილმანი

ყალბადნაკეთები პროდუქცია

რედაქციაში მოქალაქემ გაზეთში გახვეული ახლადნაყიდი ტუფლები და განცხადება მოიტანა. აი, ეს განცხადება:

— 25 მარტს თბილვაჭრობის 41-ე მაღაზიაში, რომელიც პლეხანოვის პროსპექტზეა, ვიყიდე ტუფლები და გადავიხადე 204 მანეთი. ფეხსაცმლის არჩევისა და მოზომვის დროს დახლის მუშაკმა გ. დადუნაშვილმა მირჩია ამეღო არა ის წყვილი, რომელიც მე ავირჩიე, არამედ მეორე ასეთივე წყვილი. „მზრუნველ“ მუშაკს დავუჯერე. იმ დღეებში კარგი ამინდი არ იყო და ახლადნაყიდი ფეხსაცმელი არ ჩაიცვამს. გამოიდარა თუ არა, ჩავიცვი, მაგრამ ვაი ასეთ ჩაცმას! სულ რამდენიმე საათში ფეხსაცმელი შემომერღვა, ჩასაცმელად უვარგისი აღმოჩნდა.

მოგმართავთ ამისათვის, რომ გამომაძღავნოთ ასე ყალბადნაკეთები პროდუქციის მწარმოებლები და მომხმარებელთათვის დამპალი საქონლის შემტყუებლები. ნივთიერ დამამტკიცებელ საბუთად გიტოვებთ ჩემს მიერ ნაყიდ ტუფლებს.

ქსენია დიაროვა,
მოხამსახურე.

* * *

რედაქციამ შეამოწმა ეს საქმე.

ფეხსაცმელი აღმოჩნდა გარეუბნის სამრეწველო კომბინატის ფეხსაცმლის საამქროს ნაწარმი (კომბინატის დირექტორი ი. ბუაძე). იგი შეკერილია დაუდევრად, დამპალი ძაფით, ტუფლის ზედაპირს აქა-იქ აღმოაჩნდა დაწებებული პატარა ტყავის ნაჭრები, რათა მყიდველს ერთი შეხედვით ვერ შეემჩნია, რომ ზედაპირი ადგილ-ადგილ გაცვეთილი და დახრულია.

თბილვაჭრობის 41-ე სპეციალიზებულმა მაღაზიამ (მაღაზიის დირექტორი ს. დათაშვილი) ტუფლები მიიღო საწყობიდან ხარისხის შეუმოწმებლად, ხოლო დახლის მუშაკი გ. დადუნაშვილი შეეცადა წუნდებული ტუფლები მალე შეეჩეჩებინა რომელიმე მომხმარებლისათვის.

საჭიროა მომხმარებელთა მომტყუებლების ალაგმვა და ყალბისმკეთებელთა ნახელავის ხავაჭრო ქსელში გამოტანის აკრძალვა. რედაქციას საჭიროდ მიაჩნია, რომ ეს საკითხი საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და სამრეწველო საქონლის ხარისხის ინსპექციის მსჯელობის საგანი გახდეს.

მუშათა კღუბში

ოცდახუთ წელზე მეტია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა თბილისის მაუდ-ქამვოლის კომბინატთან არსებული კლუბი (გამგე ი. უტიაშვილი). კლუბში ჩამოყალიბებულია დრამატული, მომღერალთა, მოცეკვავეთა, სასულე და სიმებიანი ორკესტრის თვითმოქმედი წრეები, რომლებშიც გაერთიანებული არიან კომბინატის მუშები, ინჟინრები, მათი ოჯახების წევრები. მათ უყვართ თავიანთი კლუბი. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კლუბში მიდიან, იმდიდრებენ ცოდნას, კულტურულად ისვენებენ. ერთობიან. ძალღონეს იკრებენ მომავალი შრომითი დღისათვის.

კლუბში ხშირად ეწყობა შეხვედრები მწერლებთან. ამას წინათ მუშები შეხვდნენ მწერლებს გ. ტაბიძეს, ი. ნონეშვილს, ს. ჭილაიას, ა. ბელიაშვილს, თ. ჯაკობაშვილს და სხვ., რომლებმაც მუშებს წაუკითხეს თავიანთი ახალი ნაწარმოებები, ესაუბრნენ ქართნის მუშა პოეტებს — ფ. გოგინაშვილს, ვ. ლაშაურს და სხვ.

კომბინატის ინჟინრები და სპეციალისტები ჩაბმული არიან ლექტორიუმში. ისინი მუშებთან კითხულობენ საინტერესო ლექციებს. შაგალითად, მოავარმა ინჟინერმა ს. ამაშუკელმა წაიკითხა ლექციები თემებზე: „რა გზით შეიძლება შემცირდეს გაშშვებული პროდუქციის თვითღირებულება“, „ორთქლის ქვაბების აწყობა უსაშიშრობის ტექნიკა“ და სხვ.

გამოცდილების გაზიარებისა და რაციონალიზატორულ წინადადებათა ფართოდ განზოგადების მიზნით კლუბში ეწყობა შეხვედრები მოწინავე მუშებთან. ძველი მუშები ს. მიქაბერიძე და ა. სურამელაშვილი ახალგაზრდებს ესაუბრნენ კომბინატის ისტორიისა და თავიანთ მდიდარ გამოცდილებაზე.

კლუბს შეფობას უწევს ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი. შეფმა კლუბს უსასყიდლოდ გადასცა სცენის ფარდა და ტანსაცმელი თვითმოქმედი წრეების მონაწილეთათვის. თეატრმა უფასო კონცერტები გამართა მუშებისათვის.

კლუბთან შექმნილია ბავშვთა ტექნიკური და თვითმოქმედების წრეები, რომლებსაც თბილისის 22-ე სკოლის პედაგოგები და კომბინატის ინჟინრები ხელმძღვანელობენ. საწრეო მუშაობისათვის გამოყოფილ ოთახებში მუშების შვილები განიმტკიცებენ სკოლაში მიღებულ ცოდნას, ერთობიან და ისვენებენ. ნაყოფიერ საქმიანობას ეწევიან სახიერატო-სახეზინკლო, ხელგარჯილობის, დრამატული, მომღერალთა წრეები, რომლებსაც ხელმძღვანელობენ: ინჟინერი ო. გაბრიჩიძე, ოსტატი ვ. ზლიკოვი, კამეოლური წარმოების მრთველი შ. ბელიხოვა, ა. ქართველიშვილი, ჭ. ღოღობერიძე.

მოსწავლეები პრაქტიკული მეცადინეობისათვის იყენებენ კომბინატის მანქანა-დანადგარებსა და ლაბორატორიას. ამიტომ არის, რომ მუშების შვილების აკადემიური წარმატება მაღალია.

მოსწავლეთა დრამატულმა წრემ წელს აჩვენა ლიუბიმოვას „თეთრა“, ი. არაყიშვილის „უკანასკნელი ორიანი“, ა. კაპკაკიშვილის „ამბავი ორი ბიჭისა“ და გ. სუნდუკიანცის „პეპო“.

მოსწავლეები შეხვედრას უწყობენ აგრეთვე წარმოების მოწინავე მუშებს. ისინი აქ ეცნობიან მაუდის ქსოვის ტექნიკას, მუშაობის პირობებს, რაც მათ აღუძრავს იმის ინტერესს, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სამუშაოდ წავიდნენ წარმოებაში. ახლა კომბინატის საამქროებში ბევრი ახალგაზრდა მუშაობს და ამასთან დაეუსწრებლად სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში, საღამოს სკოლებსა და ტექნიკუმებში.

ვ. გოზალიშვილი.

კვირას თბილისის ზღვაზე და მის მიდამოებში



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არ შეუძლია ადამიანს, მის გონივრულ შრომას, ხალხის შემართებას! სამგორს ველარ იცნობს დღეს ის, ვინც აქ შვიდი წლის მანძილზე არა ყოფილა. ეს რა ზღვა ლივლივებს, ეს რა ფიქვები შრიალებენ, ეს რა ხალხი მოგროვილა!

გაცოცხლდა სამგორი, წყალმა, ზღვად ქცეულმა იერის წყალმა, სიცოცხლე და ხიხარული დაამკვიდრა მკვდარ ველზე, დედაქალაქის მშრომელთა გართობა-დასვენების უსაყვარლეს ადგილად აქცია იგი.

კვირაა, 8 აპრილი. ზღვაზე ჯერ სეზონი არ დამდგარა — ჯერ კიდევ დაბალია წყლის ტემპერატურა, მაგრამ წყალჯომარდობის სადგური უკვე მზად არის თუნდაც დღესვე გახსნას სეზონი. დაფარფატებენ თეთრი იფრები, დაცურავენ მოლივლივე ზღვაზე ნაირფერი ნავები. კატერები უკვე ნაპირთან არიან. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნისა და თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივების მიერ აშენებული გემები ჯერ კიდევ არ შეცურებულან ზღვაში... მაგრამ სიცოცხლე და მოძრაობა ზღვაზე მაინც იგრძნობა. მოდიან მშრომელები, მოდიან ახალგაზრდები დასასვენებლად. ზოგი ანკესით მოსულა სათევზაოდ, ზოგიც ნავებით შორს შეცურებულა. ზოგს ზღვის ნაპირას ახალდარგულ ფიქვნარში შეუჩრდილებია.

გაზაფხულის სუნი ტრიალებს ირგვლივ. მიმოდიან მსუბუქი ავტომანქანები, სამგზავრო ავტობუსები, საექსკურსიოდ მოსულან მოსწავლეები, მუშები, მოსამსახურეები, სტუდენტები...

მაგრამ რა შეედრებოდა იმ სანახაობას, რაც კვირაღლეს გადაეშალა თბილისის ზღვის მიდამოებში, სამგორის ვრცელ ველ-მინდვრებზე. ამოდენა ხალხი ერთად მოგროვილი და მოფუსფუსე აქ არავის უნახავს თბილისის ზღვის გაჩენის დღიდან. ეს ხალხი აქ დასასვენებლად როდი მოსულა! დიდი მნიშვნელობის საქმე იწყება — დენდროლოგიური პარკი შენდება, აქ ექნება ბინა ფლორის მრავალ საინტერესო და იშვიათ წარმომადგენელს, ყველა წიწვოვან და ყველა ფოთლოვან მცენარეს. ვინ წარმოიდგენდა წინათ ამას! სამგორში, სადაც ბალახიც არ ხარობდა, მალე ას ჰექტარ უართობზე გაიშლება ულამაზესი პარკი. მას არა მარტო მშრომელთა დასვენების, არამედ დიდი მეცნიერული მნიშვნელობა ექნება.

აქ მოსულან ჩვენი სამინისტროების მუშაკები, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, მუშა-მოსამსახურეები, მეცნიერი მუშაკები—რგავენ მცენარეებს. ამ სამუშაოზე გამოყენებულია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვა. რა სახის მანქანებს არ ნახავთ — უზარმაზარი მექანიკური ამწეები, გოლიათი სატვირთო ავტომანქანები, წყალსასხურებლები და სარწყავი ავზები.

კვირას უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ სატვირთო მანქანები მარადმწვანე მცენარეთა ნერგებით. მოჰქონდათ ელდარის ფიქვი მცხეთიდან და ადრე გამზადებულ სპეციალურ ორმოებში რგავდნენ. ველზე, დილას მოტიტვლებული რომ იყო, საღამოს საუცხოო ხეივანი შეიქმნა ელდარის ფიქვებისა, რომელთა სიმაღლე სამ-ოთხ მეტრს აღემატება. აქ უკვე დაურგავთ შინდი და თხილი, მრავალი სხვა მცენარე. ამ სამუშაოებს, მშრომელთა ამ პატრიოტულ საქმეებს პრაქტიკულად ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

აქ ჩამოაქვთ არა მარტო ჩვენი — საქართველოს, არამედ მოძმე რესპუბლიკების ფლორის საუკეთესო წარმომადგენლების ნერგები.

კვირას გვიან საღამომდე არ შეწყვეტილა ხალხის მოძრაობა, მცენარეთა რგვის სამუშაოები, ისმოდა ორკესტრის ბანგები, რადიო გადმოსცემდა სიმღერებს... ხალისიან, პატრიოტულ შრომაში ისვენებდნენ თბილისელები კვირას სამგორში.

სურათზე: მცენარეების რგვის პროცესი.

ტექსტი ვლ. დემეტრაძისა,
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ხალხთა დიადი მეგობრობის დროშით

გულწრფელი სტრიქონები

გრანიტივით მტკიცეა ორი მოძმე რესპუბლიკის — უკრაინისა და საქართველოს მაღაროელთა მეგობრობა. მათი ძმობა, დაახლოება უფრო იზრდება და მრავალმხრივი ხდება. ამას წინათ ჭიათურელ მაღაროელებს ესტუმრნენ ნიკოპოლელი თანამოძმეები. ისინი დაწვრილებით გაეცნენ ჭიათურელთა გამოცდილებას, ქართველ მეგობრებს გაუზიარეს თავიანთი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკულად ეხმარებიან ერთმანეთს.

უკრაინელი ძმები ერთ კვირას დარჩნენ ჭიათურაში. ეს იყო ხალხთა დიადი მეგობრობის შესანიშნავი დემონსტრაცია. ბევრი გულწრფელი სიტყვა წარმოითქვა ხალხთა მეგობრობაზე, ბევრი სტრიქონი დაიწერა უკრაინელ და ქართველთა გულითად ძმობაზე...

ლენინის სახელობის მაღაროს სამთო ტექნიკოსმა, დამწყებმა პოეტმა გიორგი წერეთელმა ლექსი უძღვნა ნიკოპოლის მაღაროელთა დელეგაციას.

უკრაინელი მეგობრები გულთბილად გაეცილეს ქართველმა თანამეგობრებმა. თავიანთი შთაბეჭდილებები მათ უამბეს ნიკოპოლელ ამხანაგებს. ჭიათურაში ბოვიდა ნიკოპოლელ მაღაროელთა საქალაქო გაზეთი „შახტარ მარგანცი“. გაზეთის მესამე გვერდი მიძღვნილია ჭიათურელ და ნიკოპოლელ მაღაროელთა მეგობრობისადმი ანშლაგით — „მტკიცეა მოძმე რესპუბლიკების მაღაროელთა მეგობრობა“. გვერდი იხსნება დელეგაციის ხელმძღვანელის, უკრაინის კომპარტიის მარგანეცის ქალაქკომის მდივნის ამხ. ი. კომპანიეცის წერილით „ფართოვდება ორი აუზის კოლექტივების კავშირი“. იგი აღნიშნავს, რომ სოციალისტურმა შეჯიბრებამ დაამეგობრა ქართველი და უკრაინელი მაღაროელები, ისინი საერთო წარმატებას აღწევენ მეტი მარგანეცისათვის ბრძოლაში, რომ ტრადიციულმა შეჯიბრებამ გამოავლინა წარჩინებული ადამიანები: ამხ. მაგლევანი, გრეკოვი, პანკეევი, სკატოვი (ნიკოპოლში), ამხ. თოდაძე, ფოფხაძე, ამყოლაძე, ჭიღლაძე, ნადირაძე, ღავთაძე (ჭიათურაში) და სხვ.

„ჩვენი დელეგაცია, — წერს ამხ. კომპანიეცი, — ექვს დღეს იმყოფებოდა ჭიათურაში. დაწვრილებით გავეცანით მაღაროების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობას. ბევრი რამ საინტერესო ვნახეთ და გავიგეთ, რაც დაგვეხმარება მუშაობაში. ქართველმა ამხანაგებმა გულთბილი და დაუვიწყარი შეხვედრა მოგვიწყეს...

...ჩვენი ყოფნა ჭიათურაში, — ამბობს დასასრულს იგი, — დავმთხვა პარტიის XX ყრილობის მუშაობის დამთავრებას. ჩვენი შეჯიბრება დაგვეხმარება ყრილობის მიერ დასახულ გრანდიოზულ ამოცანათა შესრულებაში. ჩვენი მეგობრობა უფრო მტკიცე იქნება“.

ფრიად საინტერესოა მაქსიმოვის სახელობის მაღაროს მნგრეველის ამხ. ს. სკატოვის წერილი სათაურით — „რა ვნახეთ ქართველ მეგობრებთან“. იგი წერს: „არასოდეს დამავიწყდება ჭიათურელი მეგობრების გულთბილი შეხვედრა, ქართველ კოლეგებთან გატარებული დღეები. აღფრთოვანებითა და გულღიად გვხვდებოდნენ ყველგან, სადაც კი გამოვჩნდებოდით — ქუჩაში, მაღაროში თუ კლუბში. ვინახულეთ მაღაროელთა საცხოვრებლებიც. სიამოვნებით ვიგონებ ჭიათურელი მაღაროელის კ. ღავთაძის ოჯახს, სადაც სტუმრად ვიყავით. ფართო, ნათელი და სუფთა ორსართულიანი ბინა აქვს მას. ოთახებს ამშვენებს ძვირფასი ავეჯი, პიანინო, საუკეთესო რადიომიმღები. ახლახან ამხ. ღავთაძეს შეუძენია „პობედაც“... დაე, უფრო გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება, დაე უფრო ძტკიცდებოდეს ჩვენი მეგობრობა“, — ამთავრებს წერილს ამხ. ს. სკატოვი.

„დაუვიწყარი დღეები“ — ასეა დასათაურებული ნიკოპოლელი მნგრეველის ამხ. პ. გრეკოვის წერილი. „მრავალწლოვანი ურღვევი მეგობრობა აკავშირებს აყვავებული უკრაინისა და მზიური საქართველოს მაღაროელებს. ჩვენ გვამოძრავებს ერთი მიზანი — ვიმუშაოთ თავდადებულად, საყვარელ სამშობლოს მივცეთ მეტი მარგანეცი. ბევრ ქართველ მეგობარს პირადად შევხვდით და გულითადად ვისაუბრეთ. ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტალინის სახელობის მაღაროს მნგრეველმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ტ. ფოფხაძემ. მასთან სანგრევში ვიყავი, ერთად ვიმუშავეთ მომნგრევ ჩაქუჩებზე და შეჯიბრებაში გამოვწვიეთ ერთმანეთი, წლიური გეგმის 160 პროცენტით შესრულება ვიკისრეთ“...

აქვე მოთავსებულია ცვლის უფროსების ტ. ფერაძისა და ვ. სუგანიაკის წერილები, რომლებიც ურთიერთს ეჯიბრებიან. ორი მოძმე მაღაროელების შეჯიბრებას უფრო კონკრეტულად უნდა უხელმძღვანელონ პარტიულმა, სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა.

ჯ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

ეგვიპტური კინოფილმი „ბრძოლა ველზე“

ჩვენი ქვეყნის ეკრანებზე პირველად უჩვენებენ ეგვიპტურ კინოფილმს — „ბრძოლა ველზე“. საბჭოთა ხალხების კულტურულ ცხოვრებაში ამ ფილმის ჩვენება თვალსაჩინო მოვლენას წარმოადგენს. მაყურებელს საშუალება აქვს გაეცნოს თანამედროვე ეგვიპტის ეროვნულ კინოხელოვნებას.

ეგვიპტეში კინოხელოვნება ჩაისახა 1927 წელს, მაგრამ ინგლისის იმპერიალიზმის ბატონობა ძლიერ აფერხებდა ეროვნული კინოხელოვნების განვითარებას. ხელოვნების ეს დარგი დიდ აღმავლობას განიცდის 1952 წლის შემდეგ, როდესაც ეგვიპტელმა ხალხმა თავი დააღწია ინგლისელ კოლონიზატორთა ბატონობას და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა.

დღეისათვის ეგვიპტეში 354 კინოთეატრია, რომელთაგან 117 მარტო ქ. კაიროშია. არსებული რვა კინოსტუდია („შუბრა“, „აჰრამი“, „გალალი“, „მისრი“, „ნაჰვასი“, „გიზა“, „ნასიბინი“ — კაიროში და „რაამი“ — ალექსანდრიაში) ყოველწლიურად საშუალოდ 90-100 მხატვრულ კინოფილმს უშვებს. ამ კინოსტუდიებში წარმოებს მხოლოდ მხატვრული სურათების გადაღება, ხოლო დოკუმენტალური და სამეცნიერო-პოპულარული ფილმების გადაღებას ახორციელებენ ეროვნული ხელმძღვანელობის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროები. აღსანიშნავია, რომ ეგვიპტის კინოხელოვნების მუშაკები დაეუფლნენ ფერადი ფილმების გადაღების ტექნიკას და უშვებენ კინოსურათებს ფართო ეკრანისთვისაც.

უკანასკნელი წლების მანძილზე გადაღებული ეგვიპტური ფილმების უმრავლესობა აგებულია ეგვიპტის ისტორიის, ხალხური თქმულებებისა და არაბული ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების სიუჟეტების მიხედვით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ეგვიპტელი გლეხების ცხოვრებისა და ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის თემებს. ამ მხრივ აღსანიშნავია კინოფილმები: „ველების ასული — ლეილა“, „ფელაჰის ვაჟიშვილი“, „ნილოსის შვილი“, „ღამის ცრემლები“, „ბრძოლა ველზე“ და სხვ. ეგვიპტელი კინომუშაკები მიმართავენ აგრეთვე მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსთა ნაწარმოებების ეკრანიზაციას. ამჟამად კინორეჟისორი იუსუფ მაალუფი მოლიერის პიესის მიხედვით არაბულ ენაზე დგამს კინოფილმს „ძალად ექიმი“.

შედარებით მოკლე ხნის მანძილზე ეგვიპტურმა მხატვრულმა ფილმებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს არა მარტო არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებში, არამედ აზიისა და აფრიკის მატერიკებს გარეთაც. მაყურებელთა სიმპათია და სიყვარული დაიმსახურეს ეგვიპტელმა კინომსახიობებმა: შადია-გემალ შაქირმა, სამია გამალმ, ხოჯა სულტანმა, ფათინ ჰამამამ, აბდ ალ-ვარის ასრმა, გემალ აშ-შენაუიმ, ზაქი როსტომმა, რომელნიც რამდენიმე ათეულ კინოფილმში იღებენ მონაწილეობას; კინორეჟისორებმა: იზა ედდინ ზულ-ფიკარმა, იუსუფ აშ-შაჰინმა, ჰასან ალ-იმამმა, ფათინ ალ-ვაჰაბმა და სხვ.

ნიჭიერი ეროვნული კადრები სავსებით უზრუნველყოფენ ეგვიპტური კინოფილმების მაღალ მხატვრულ დონეს.

ფილმი „ბრძოლა ველზე“ გადაღებულია კაიროს კინოსტუდია „გალალ სტუდიოს“ მიერ. მონაწილეობას იღებენ როგორც ახალგაზრდა მსახიობები, ისე ეროვნული დრამისა და კინოს დახელოვნებული ოსტატები. ძთავარი როლის — აჰმადის შემსრულებელი მსახიობი ომარ აშ-შარიფი სულ 23 წლისაა; „ბრძოლა ველზე“ მესამე სურათია, რომელშიც იგი მონაწილეობს, მაგრამ ახალგაზრდა მსახიობმა უკვე დაიმსახურა ეგვიპტელი მაყურებლის სიყვარული. ამალის როლის შემსრულებელი, პოპულარული ეგვიპტელი კინომსახიობი ქალი ფათინ ჰამამა, თუმცა იგი ჯერ 25 წლისაა, უკვე „ძველ“ კინომსახიობად ითვლება; მან შვიდი წლის ასაკიდან დაიწყო კინოფილმებში გადაღება და ამჟამად ოცდაათი როლი აქვს შესრულებული. ფილმში მონაწილეობენ აგრეთვე ეგვიპტის ეროვნული კინოხელოვნების პიონერები: აბდ ალ-ვარის ასრი (საბერ ეფენდი) და ზაქი როსტომი (ფაშა).

ფილმის რეჟისორს იუსუფ აშ-შაჰინს, ოპერატორს აჰმად ხურშიდს და მთელ შემოქმედებითს კოლექტივს ბევრი უმუშავნიათ, რათა რაც შეიძლება მეტად დაეახლოებინათ სურათი ცხოვრების სინამდვილესთან. აღსანიშნავია, რომ ფილმის გადაღება ძირითადად პაპირუსინის გარეთ წარმოებდა: ძველი ეგვიპტის ფარაონთა დედაქალაქების ლუქსორისა და ასუანის მიდამოებში და თანამედროვე ეგვიპტის დედაქალაქ კაიროში, სადაც გადაღება მიმდინარეობდა ეგვიპტელი ხალხის მიერ 1952 წელს განხორციელებული უკანასკნელი მეფის ფარუკის ყოფილ სასახლეში. ყოველივე ეს შესაძლებლობას აძლევს მაყურებელს გაეცნოს ეგვიპტელი ხალხის მატერიალური კულტურის დღემდე შემორჩენილ ძეგლებს და ხალხის თანამედროვე ცხოვრებას.

კინოფილმი „ბრძოლა ველზე“ მოგვითხრობს ეგვიპტელი გლეხობის დღევანდელ ცხოვრებაზე, მის ბრძოლაზე მეძალეულე-ფაშების ძალმომრეობისა და თვითნებობის წინააღმდეგ, უკეთესი და ნათელი მომავლისათვის.

მოქმედება წარმოებს 1951 წელს. ეგვიპტის ერთ-ერთ სოფელში ბრუნდება ადგილობრივი ფაშის მოურავის ვაჟი აჰმადი. მან დაამთავრა კაიროს უნივერსიტეტი. სოფლის მეურნეობის განხრით და აოსავსეა სურვილით დახმარება აღმოუჩინოს თავის თანასოფლელებს უხვი მოსავლის მიღებაში. აი ნანატრი დღეც დადგა; გლეხებმა უხვი მოსავალი მიიღეს მაქრის ლერწმისა, რომელიც ხელსაყრელ ფასებში უნდა შეისყიდოს მაქრის კომპანიამ. მაგრამ საქმის ასეთი ვითარება არ მოსწონს ფაშას, იგი ზარალს განიცდის. ფაშა და მისი ძმისწული განიზრახავენ გაანადგურონ გლეხთა ჭირნახული. ისინი ინტრიგების ხშირ ქსელს აბამენ; ერთ ბოროტმოქმედებას მეორე მოსდევს... მაყურებელი დაძაბულად ადევნებს თვალს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომელსაც ხალხი აწარმოებს ფაშის ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ, რაც ბოლოს ხალხის გამარჯვებით მთავრდება.

ეგვიპტური ფილმის პირველად ჩვენება ჩვენს ეკრანებზე დიდ ინტერესს იწვევს და უთუოდ შეუწყობს ხელს საბჭოთა კავშირსა და არაბული აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის კულტურული ურთიერთობის შემდგომ განვითარებას.

შ. კურღოლელაშვილი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

კადრი ფილმიდან „ბრძოლა ველზე“.

ᲞᲔᲙᲘᲜᲨᲘ ᲮᲔᲚᲘ ᲛᲝᲐᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲔᲑᲘᲡ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 7 აპრილი. (საკდესი). დღეს პეკინში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს საცერემონიო დარბაზში ხელი მოაწერეს: შეთანხმებას საბჭოთა კავშირის მიერ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მრეწველობის ზოგიერთი დარგის განვითარებაში დახმარების გაწევის შესახებ, რომლითაც გათვალისწინებულია 55 ახალი სამრეწველო საწარმოს შენებლობა იმ 156 ობიექტის დამატებით, რომლებიც შენდება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის წინათ დადებულ შეთანხმებათა შესაბამისად, და შეთანხმებას ლანჯოუდან აქტოგაიმდე რკინიგზის შენებლობის შესახებ და ამ რკინიგზაზე 1960 წელს პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

შეთანხმებებს ხელი მოაწერეს: საბჭოთა მთავრობის უფროსებმა — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის უფროსმა — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილემ ლი ფუ-ჩუნმა.

შეთანხმებათა ხელმოწერას საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, ეკონომიური ურთიერთობის საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე პ. ა. მალეტინი და სხვა პირები.

ჩინეთის მხრივ შეთანხმებათა ხელმოწერას დაესწრნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილეები ჩენ იუნი, პინ დეხუაი, დენ სიაო-პინი, დენ ძი-ხუეი, ხე ლუნი, ულანფუ, ლი სიან-ნიანი და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო მოღვაწეები.

ᲓᲘᲣ ᲨᲐᲝ-ᲪᲘᲛ ᲓᲐ ᲯᲝᲣ ᲔᲜ-ᲚᲐᲘᲛ ᲛᲘᲘᲦᲔᲡ Ա. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ Ш. Რ. ᲠᲐᲨᲘᲓᲝᲕᲘ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 7 აპრილი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტო იუწყება, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარემ ლიუ შაო-ციმ და სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ დღეს მიიღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი ა. ი. მიქოიანი და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი.

Ա. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲑᲐᲡᲢᲐᲠᲗᲐ

ᲞᲔᲙᲘᲜᲘ, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს პეკინიდან ულან-ბატორში გაფრინდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და მისი თანმხლები პირები.

პეკინის დასავლეთ აეროდრომზე ა. ი. მიქოიანი გააცილეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ, პრემიერის მოადგილეებმა ჩენ იუნმა, პინ დე-ხუაიმ, დენ სიაო-პინმა, ლი ფუ-ჩუნმა, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა შენ ძიუნ-ეუმ, გო მო-ჟომ, პეკინის საქალაქო სახალხო კომიტეტის თავმჯდომარემ პინ ჯენმა, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეებმა ნე ჟუნ-ჯენმა და ლუნ იუნმა, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯან ვენ-ტიანმა, აგრეთვე ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, დემოკრატიული პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, კულტურის მოღვაწეებმა, საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა.

გამცილებელთა შორის იყვნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი და საბჭოთა საელჩოს თანამშრომლები, აგრეთვე საელჩოების მეთაურები და სხვა დიპლომატიური მუშაკები, რომლებიც პეკინში იმყოფებიან.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲯᲐᲤᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ „ᲨᲣᲐᲤᲡᲔᲡ“ ᲔᲙᲘᲠᲐᲟᲘᲡ ᲮᲣᲗᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲬᲔᲕᲠᲘ

ნიუ-იორკიდან სამშობლოში, საბჭოთა კავშირში გაფრინდა საბჭოთა ტანკერი „ტუაფსეს“ ეკიპაჟის ხუთი ყოფილი წევრი — მ. ი. შინინი, ნ. ი. ვაგანოვი, ა. პ. შირინი, ვ. დ. რიაბენკო, ვ. ლუკაშკოვი.

როგორც ცნობილია, ტანკერი „ტუაფსე“ ავარიულად ჩაიგდეს ხელში ჩან-კაიშელებმა 1954 წელს. საბჭოთა ტანკერის ეკიპაჟის წევრთა უმრავლესობამ მოახერხა ტაივანიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო. ეკიპაჟის ნაწილი კი შარშან ტაივანიდან შეერთებულ შტატებში გაგზავნეს.

მ. ი. შინინმა, ნ. ი. ვაგანოვმა, ა. პ. შირინმა, ვ. დ. რიაბენკომ, ვ. ლუკაშკოვმა განცხადებით მიმართეს საბჭოთა საელჩოს ამერიკის შეერთებულ შტატებში და სთხოვეს გაეწია მათთვის დახმარება საშობლოში დასაბრუნებლად.

7 აპრილს საბჭოთა კოლონიამ ნიუ-იორკში გულთბილად გააცილა სამშობლოში გამგზავრებული საბჭოთა მეზღვაურები.

ᲔᲒᲕᲘᲞᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲙᲔ

ᲙᲐᲘᲠᲝ, 8 აპრილი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ეგვიპტის სამხედრო სარდლობის კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ ისრაელის ჯარებმა გუშინ, 7 აპრილს, 13.00 საათზე კვლავ აუტეხეს სროლა ეგვიპტის პოზიციებს ქალაქ ღაზის რაიონში და სროლას 40 წუთს განაგრძობდნენ.

Ա. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘ ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ ᲩᲐᲕᲘᲓᲐ

ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲘ ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲨᲘ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 8 აპრილი. (საკდესი). მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით დღეს დილით ულან-ბატორში ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი. მასთან ერთად ჩამოვიდნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი და ა. ი. მიქოიანის თანმხლები სხვა პირები.

აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ა. ი. მიქოიანს შეხვდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დამბა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები დ. ბალჟინიამი, ნ. ლხამსურენი, ბ. შირენდიბი, მინისტრები, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის დეპუტატები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, მონღოლი და უცხოელი ჟურნალისტები.

სტუმრებს შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ხონ დონ ჩერი.

10 საათსა და 30 წუთზე თვითმფრინავი ძირს ეშვება. მონღოლეთის სახალხო რევოლუციური პარტიისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელები გულთბილად მიესალმნენ საბჭოთა სტუმრებს. ბავშვებმა სტუმრებს ყვავილები მიართვეს. საფრენ მინდორზე ელერს სსრ კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები. ა. ი. მიქოიანმა და ი. ცედენბალმა სალამი აიღეს.

შემდეგ ა. ი. მიქოიანი და ი. ცედენბალი მანქანაში ჩასხდნენ. ქალაქისაკენ მიმავალი გზის ორივე მხარეს ა. ი. მიქოიანსა და სხვა საბჭოთა სტუმრებს სიხარულით მიესალმებოდნენ მონღოლეთის დედაქალაქის მცხოვრებნი.

მანქანები უახლოდებიან სუხე-ბატორის სახელობის მოედანს. იგი გაჭედილია ხალხით. აქ შეიკრიბა 50 ათასამდე კაცი.

ა. ი. მიქოიანი, შ. რ. რაშიდოვი, ი. ცედენბალი, ჟ. სამბუ, დ. დამბა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, სსრ კავშირის ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი და სხვები ტრიბუნაზე ადიან.

სიტყვას ამბობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი. იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ურღვევ მეგობრობაზე, მონღოლი ხალხის წარმატებებზე ცხოვრების ყველა დარგში, საბჭოთა ხალხის ძმურ დახმარებაზე.

მონღოლი ხალხი და მისი მთავრობა, —ამბობს ი. ცედენბალი, — სავსებით იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, რომელიც შეეფერება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს და რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარება და განმტკიცება.

ი. ცედენბალი თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვებას უსურვებს მონღოლი და საბჭოთა ხალხების ძმურ ურღვევ მეგობრობას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ა. ი. მიქოიანს.

საბჭოთა ადამიანებისათვის, ამბობს იგი, სასიხარულოა, რომ მონღოლი ხალხი. სძლევს რა საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, წარმატებით მიდის წინ სოციალიზმის გზით და ღირსეული ადგილი უკავია მძლავრ სოციალისტურ ბანაკში.

ჩვენს თვალწინ მოხდა ძირეული ცვლილებანი მონღოლი ხალხის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში: შეიქმნა ქალაქები და მუშათა დაბები, დიდი საწარმოები, მონღოლეთში გაყვანილია ტრანსმონღოლეთის პირველხარისხოვანი რკინიგზა, რომელიც ხელს უწყობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და ერთმანეთთან აკავშირებს სამ მოძმე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელი არატების კეთილდღეობა, გაიზარდა ახალგაზრდა მუშათა კლასი, შეიქმნა ეროვნული ინტელიგენცია.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, —ამბობს ა. ი. მიქოიანი, — სასიხარულოა იმის შეგნება, რომ წარმატებებს, რომლებიც მონღოლმა ხალხმა თავდადებული შრომით მიაღწია, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის დახმარებაც.

დასასრულ ა. ი. მიქოიანმა რწმენა გამოთქვა, რომ ურღვევი მეგობრობა და მჭიდრო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ი. ცედენბალისა და ა. ი. მიქოიანის სიტყვებმა არაერთგზის გამოიწვია შეკრებილთა მქუხარე ტაში.

• • •

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 8 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი და უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, რომლებიც დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ჩამოვიდნენ, დღის განმავლობაში ეცნობოდნენ დედაქალაქის — ულან-ბატორის ცხოვრებას.

სტუმრებმა ინახულეს ჩოიბალსანის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, იყვნენ ხორკკომბინატსა და სამრეწველო კომბინატში. საღამოს დაესწრნენ კონცერტს მუსიკალურ-დრამატულ თეატრში.

Ი. ᲪᲔᲓᲔᲜᲑᲐᲚᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲐ Ա. Ი. ᲛᲘᲥᲝᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲐᲞᲖᲘᲕᲡᲐᲪᲔᲛᲐᲓ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 8 აპრილი. (საკდესი). დღეს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიქოიანი.

დარბაზობაზე საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი, სსრ კავშირის საავჭრო წარმომადგენელი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მ. ვ. მეშჩერიაკოვი.

მონღოლეთის მხრივ დარბაზობაზე იყვნენ: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დამბა და სხვა ოფიციალური პირები. დარბაზობის დროს ცედენბალს და მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სხვა ხელმძღვანელებსა და ა. ი. მიქოიანს შორის გაიმართა ამხანაგური ურთიერთგაზიარება საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრული ურთიერთობის, ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲐ

ᲣᲚᲐᲜ-ᲑᲐᲢᲝᲠᲘ, 9 აპრილი. (საკდესი) უკანასკნელ დროს ულან-ბატორში წარმოებდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მთავრობათა წარმომადგენლების ნოლკპარაკება სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საკითხებზე. 8 აპრილს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცედენბალმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიქოიანმა ხელი მოაწერეს მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს.

კომუნიკეს ხელმოწერას მონღოლეთის მხრივ დაესწრნენ: მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დამბა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. შირენდიბი და სხვა ოფიციალური პირები. საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ: უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე შ. რ. რაშიდოვი, სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ი. პისარევი, საელჩოს მრჩეველი ს. ს. დაშიანი.

ქვემოთ ქვეყნდება მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის კომუნიკეს ტექსტი:

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და სსრ კავშირის მთავრობას შორის წინათ მიღწეული შეთანხმების შესაბამისად უკანასკნელ დროს ულან-ბატორში წარმოებდა მოლაპარაკება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე. ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიქოიანის ვიზიტის პერიოდში.

აღნიშნული მოლაპარაკების შედეგად მიღწეულია შეთანხმება, რომ 1956-1960 წლებში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას გაეწიოს დახმარება ქალაქ ულან-ბატორში 40 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის საცხოვრებელი სახლების შენებლობაში საბჭოთა ორგანიზაციების მიერ საპროექტო სამუშაოთა შესრულების, ნახევარფაბრიკატებისა და მასალების, სანტექნიკური და სხვა მოწყობილობის, სამშენებლო მექანიზმებისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიწოდების, აგრეთვე საბჭოთა სპეციალისტების მივლინების გზით.

მიღწეულია შეთანხმება, რომ საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის საერთო საზოგადოებას „ულან-ბატორის რკინიგზას“ უსასყიდლოდ გადაეცეს რკინიგზის ხაზები სოლოვიოვსკაიან-ტუმენი, ჩიიბალსან-ტამცაკ-ბულაკი და მთელი სასამსახურო შენობები, ნაგებობანი და მოძრავი ვიწროლიანდაგიანი შემადგენლობა. გარდა ამისა, მიღწეულია შეთანხმება, რომ ულან-ბატორის რაიონში აშენდეს რძის ქარხანა და 4 ვალიანი წისქვილი, მიეცეს მოწყობილობა მშენებლობის პროცესში მყოფი საკონდიტრო ფაბრიკისათვის, დახმარება გაეწიოს ქალაქ ულან-ბატორის წყალსადენის, კანალიზაციისა და თბოფიკაციის მშენებლობაში, 6 მეცხოველეობის სამანქანო სადგურის მშენებლობასა და ტექნიკურ აღჭურვაში, აგრეთვე მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ერთობლივ შესრულებასა და სხვა საკითხებში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის ეკონომიური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების დარგში.

აღნიშნულ სამშენებლო სამუშაოთა შესრულებისათვის, აგრეთვე მოწყობილობის, სამშენებლო მექანიზმებისა და სხვა მასალების შესაძენად სსრ კავშირის მთავრობა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მისცემს გრძელვადიან კრედიტს შეღავათიანი პირობებით.

Გ. Მ. ᲛᲐᲚᲔᲜᲙᲝᲕᲘ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲛᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 7 აპრილი. (საკდესი). დღეს ლონდონიდან საბჭოთა სამგზავრო რეაქტიული თვითმფრინავით „ტუ-104“ საბჭოთა კავშირში გაფრინდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურების მინისტრი გ. მ. მალენკოვი, რომელიც შეეფერება ყველა ხალხის ძირეულ ინტერესებს და რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება და საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელება, ხალხთა შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარება და განმტკიცება.

ი. ცედენბალი თავისი სიტყვის დასასრულს გამარჯვებას უსურვებს მონღოლი და საბჭოთა ხალხების ძმურ ურღვევ მეგობრობას.

შემდეგ სიტყვა ეძლევა ა. ი. მიქოიანს.

საბჭოთა ადამიანებისათვის, ამბობს იგი, სასიხარულოა, რომ მონღოლი ხალხი. სძლევს რა საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას, წარმატებით მიდის წინ სოციალიზმის გზით და ღირსეული ადგილი უკავია მძლავრ სოციალისტურ ბანაკში.

ჩვენს თვალწინ მოხდა ძირეული ცვლილებანი მონღოლი ხალხის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში: შეიქმნა ქალაქები და მუშათა დაბები, დიდი საწარმოები, მონღოლეთში გაყვანილია ტრანსმონღოლეთის პირველხარისხოვანი რკინიგზა, რომელიც ხელს უწყობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ განვითარებას და ერთმანეთთან აკავშირებს სამ მოძმე სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მშრომელი არატების კეთილდღეობა, გაიზარდა ახალგაზრდა მუშათა კლასი, შეიქმნა ეროვნული ინტელიგენცია.

ჩვენთვის, საბჭოთა ადამიანებისათვის, —ამბობს ა. ი. მიქოიანი, — სასიხარულოა იმის შეგნება, რომ წარმატებებს, რომლებიც მონღოლმა ხალხმა თავდადებული შრომით მიაღწია, ხელს უწყობდა საბჭოთა კავშირის დახმარებაც.

დასასრულ ა. ი. მიქოიანმა რწმენა გამოთქვა, რომ ურღვევი მეგობრობა და მჭიდრო ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობა ორ ქვეყანას შორის კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ.

ი. ცედენბალისა და ა. ი. მიქოიანის სიტყვებმა არაერთგზის გამოიწვია შეკრებილთა მქუხარე ტაში.

• • •

7 აპრილს რეაქტიული თვითმფრინავით „ტუ-104“ ლონდონიდან მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ელექტროსადგურების მინისტრი გ. მ. მალენკოვი, რომელიც მეთაურობდა ბრიტანეთის ელექტრონის სამმართველოს მიწვევით ინგლისში გამგზავრებული საბჭოთა ენერგეტიკოსების დელეგაციას. (საკდესი).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔ�გᲐᲪᲘᲐ

7 აპრილს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის ეროვნული კრების დელეგაცია ეროვნული კრების თავმჯდომარის ზდენეკ ფირლინგერის მეთაურობით, რომელიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით სამ კვირას იყო სტუმრად საბჭოთა კავშირში.

სტუმრების გასაცილებლად ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, შეიკრიბნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ა. პ. ვოლკოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, სსრ კავშირის საელმწიფო კონტროლის მინისტრი ვ. გ. ჟავორონკოვი, სსრ კავშირის მინისტრების მოადგილეები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე მოსკოვის შრომელთა წარმომადგენლები.

დელეგაცია გააცილეს აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ი. ვოშაგლიკმა, საელჩოს თანამშრომლებმა, საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიის ჟურნალისტებმა.

აეროდრომზე მიკროფონთან სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის მეთაურმა ზ. ფირლინგერმა. (საკდესი).

ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ᲛᲝᲢᲝᲪᲘᲙᲚᲘᲡᲢᲗᲐ ᲛᲔᲪᲘᲐᲠᲔᲑᲐ

8 აპრილს დიღმის მიდამოებში სპორტის მრავალმა მოყვარულმა მოიყარა თავი. აქ გაიმართა სამი მომენტ რესპუბლიკის — აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის სპორტსმენთა ნაკრები გუნდების მატჩი მოტოკროსში.

ტრასა მრავალდაბრკოლებებიანი და რთული იყო. სპორტსმენებს 5-ჯერ უნდა გაევლოთ წრე. საერთო მანძილი 76,5 კილომეტრს შეადგენდა.

125 კუბური სანტიმეტრის მანქანებით შეჯიბრებაში გაიმარჯვა ვ. გრიგორიანმა (საქართველო), რომელმაც აჩვენა დრო 1 საათი, 48 წუთი და 27 წამი.

საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება 350 კუბური სანტიმეტრის მანქანებით. აქ ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა თ. ჩხაიძე (საქართველო, 1 საათი, 36 წუთი და 4 წამი). ეს დრო ამ დღის შედეგებიდან ყველაზე უკეთესი აღმოჩნდა, ამიტომ თ. ჩხაიძეს მიეკუთვნა აბსოლუტური პირველი ადგილი.

750 კუბური სანტიმეტრის მანქანებით ასპარეზობაში გამარჯვება კვლავ საქართველოს გუნდის წარმომადგენელს გ. რუხაძეს ხვდა. მან აჩვენა დრო 2 საათი, 5 წუთი და 21,3 წამი.

ეტლიანი მანქანებით შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ე. სარქისოვმა და ა. ბუდილკინმა (საქართველო, 1 საათი, 56 წუთი და 23,8 წამი).

ჭაბუკთა და ქალთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს ვ. ორუსტამოვმა (აზერბაიჯანი) და ვ. ბარსეიევამ (საქართველო). მათ ორი წრე გაიარეს: პირველმა — 50 წუთსა და 3,5 წამში, მეორემ — 50 წუთსა და 55,5 წამში.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა აზერბაიჯანის მოტოციკლისტთა კოლექტივმა. საქართველოს გუნდმა მეორე ადგილი დაიკავა.

გამარჯვეულებს გადაეცათ ჯილდოები.

სურათებზე: ზემოთ — მოტოკროსის მონაწილენი სტარტზე; ქვემოთ — გამარჯვებულები (მარჯვნიდან) ვ. რუხაძე, თ. ჩხაიძე, ვ. ბარსეიევა და ვ. გრიგორიანი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲗᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲛᲡᲐᲯᲗᲐ ᲙᲝᲚᲔ�გᲘᲐ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დამტკიცა სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის მთავარ მსაჯთა კოლეგიის შემადგენლობა. სპარტაკიადის მთავარ მსაჯად დამტკიცებულია კ. ა. ანდრიანოვი, მთავარი მსაჯის მოადგილეებად — გ. მ. როგულსკი და ი. ა. ზუბკოვი, მსაჯთა კოლეგიის წევრებად — ჰ. კ. პეტროვი, ვ. ნ. კუზმენკო, ვ. ჰ. ანტიპენოკი, ნ. ვ. სემაშკო, ბ. მ. რევენკო, ა. ვ. ვასილიევი, გ. მ. კუკოლევსკი, ა. ბ. გოლუბინსკი და მთავარ მდივნად — ს. ლ. აქსელროდი.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის შეჯიბრებებს მსაჯობას გაუწევს 1.300-ზე მეტი მსაჯი. (საკდესი).

ᲨᲐᲓᲠᲐᲙᲘᲡᲨᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲤᲮᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲐᲛᲡᲢᲔᲠᲓᲐᲛᲘ, 7 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). მეექვსე ტურში ცენტრალური შეხვედრა იყო საბჭოთა გროსმაისტერებს სმისლოვისა და კერესის პარტია. 21-ე სვლაზე კერესის წინადადებით შეხვედრა ყაიმით დამთავრდა.

სამბო-სპასკის პარტიაში უნგრელმა გროსმაისტერმა მოახერხა ხ